



ბეგმარებითი ერთეულების დოკუმენტები

ქალაქი ბათუმი
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის

ინიციატორი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მის: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N10.
მიმწოდებელი: მურად შავლიძე, პ/ნ: 61006000870, მის: ხელვაჩაური

დაინტერესებული პირები:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ქალაქ ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩაზე და მოიცავს მიწის ნაკვეთებს საკადასტრო კოდებით:
05.32.17.400; 05.32.17.401; 05.32.17.402; 05.32.17.410, 05.32.17.031, 05.32.03.495, 05.32.03.877,
05.32.03.521, 05.32.03.594, 05.32.03.593, 05.32.03.621, 05.32.17.284, 05.32.03.883, 05.32.17.314, 05.32.03.632
საფუძველი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 14 თებერვლის N ბ14.14230459 ბრძანება „განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.


განაშენიანების დეტალური გეგმის

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირები:

ზაზა ქათამაძე - არქიტექტორი



რაულ გოგოლაძე - სამოქალაქო და სამრეწველო
მშენებლობა, ბაკალავრი
ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიის
სპეციალისტი, მაგისტრი



ირაკლი ქათამაძე - ფიზიკური გეოგრაფია, ეკოლოგიური ექსპერტიზის
ბაკალავრის ხარისხი.
ფიზიკური გეოგრაფია ნიადაგური რესურსების და
გარემოს მდგრადი განვითარების მაგისტრის ხარისხი.



სერგო მიქაბერიძე - ტოპოგრაფი

მეტევე-სპეციალისტი იმედა შანიძე



ეკოლოგი/ეკოსისტემების
მართვის სპეციალისტი



სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ბაკალავრი
დარეჯან ჩხიკვაძე



ირაკლი თანდილაშვილი -
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი
მაგისტრანტი



სარჩევი

1. შემოკლებათა ახსნა	5
2. ტერმინთა განმარტება.....	5
3.შესავალი.....	7
4. საბაზისო მონაცემთა მატრიცა და თანმდევი ანგარიშები.....	8
ფიზიკური გარემო.....	12
უფლებრივი გარემო	54
5. საბაზისო რუკა	71
6. განაშენიანების დეტალური გეგმის მონახაზი	72
6.1. ტექსტური ნაწილი — დასაბუთება	72
6.2. გრაფიკული ნაწილი	101
7. განაშენიანების ესკიზი	102
8. გამოყენებული დოკუმენტები	112
დანართები	113

1. შემოკლებათა ახსნა

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები აიხსნება შემდეგნაირად:

- 1) ბათუმი – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი, საკუთარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში;
- 2) განაშენიანების მართვის რეგლამენტი – გეგმარებით ერთეულის განაშენიანების გეგმის (და/ან განაშენიანების დეტალური გეგმების) ტექსტური ნაწილი, შედგენილი გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად;
- 3) გდგ – განაშენიანების დეტალური გეგმა, კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად;
- 4) გეგმარებითი ერთეული – გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დავალებით არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 05.32.17.400; 05.32.17.401; 05.32.17.402; 05.32.17.410, 05.32.17.031, 05.32.03.495, 05.32.03.877, 05.32.03.521, 05.32.03.594, 05.32.03.593, 05.32.03.621, 05.32.17.284, 05.32.03.883, 05.32.17.314, 05.32.03.632) გდგ შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;
- 5) გეგმების შემუშავების წესი – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;
- 6) გის – გეოინფორმაციული სისტემა;
- 7) დაგეგმარება – სივრცის დაგეგმარება (პროექტირება);
- 8) დაგეგმვა – სივრცითი განვითარების დაგეგმვა და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა;
- 9) დსს – კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა“;
- 10) დღე – კალენდარული დღე, გარდა ტექსტში სპეციალურად მითითებულისა;
- 11) კვლევა – ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობებით, მიმწოდებლის მიერ ჩატარებული გეგმების კონცეფციების შემუშავებისთვის საჭირო მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;
- 12) კოდექსი – „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი (N3213-რს, 2019 წ.);
- 13) მერია – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;
- 14) მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
- 15) საკრებულო – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- 16) სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- 17) სამსახური – მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური;
- 18) სანაპირო ზოლი – შავი ზღვის სანაპირო ზოლი ბათუმის გასწვრივ;
- 19) საპროექტო მომსახურება – წინამდებარე დავალების საფუძველზე დადგენილი გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება და შემსყიდველისთვის მიწოდება;
- 20) საჯარო რეესტრი – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- 21) სგშ – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;
- 22) სნდწ – სამშენებლო ნორმები და წესები;
- 23) ძირითადი დებულებები – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“.

2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

(1) აეროფოტო — საჰაერო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;

(2) განაშენიანების ესკიზი — ქალაქგეგმარებითი ესკიზური პროექტი, რომელიც გდგ მიზნებისთვის არქიტექტურული დაგეგმარების ენაზე ასახავს გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისი ფიზიკური გარემოს სამომავლო სურათს;

(3) დრონი — ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;

(4) ესთეტიკური პარამეტრები — შენობა-ნაგებობის ესთეტიკური წყობის განმსაზღვრელი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც და რომლის მაჩვენებლებიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, დაგეგმვის მიზნების და/ან დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისად;

(5) კომპიუტერული გრაფიკა — კომპიუტერული ტექნოლოგიის (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა) გამოყენებით შექმნილი/მიღებული გრაფიკა;

(6) ვიზუალიზაცია — დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);

(7) ზედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართო, მთლიან სისტემაზე;

(8) ინტერეს-წერტილი — სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;

(9) კომიუტერი — ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათშორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-ღამის ინტერვალით;

(10) კოსმოფოტო — სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;

(11) ლიდარი — მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტამდე, მასზე ლაზერის სხივის მინათებით;

(12) ლიმიტაცია — გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;

(13) მაკომპენსირებელი ღონისძიება — კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიება, რომელიც აუცილებელია ძირითადი დებულებებით დადგენილი კ¹/კ² ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისას.

(14) მასშტაბი — ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი;

(15) ორთოფოტოგადაღება — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ-მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;

(16) საბაზისო რუკა — გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი

განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მზადდება ციფრული (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან ბეჭდური (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;

(17) საზოგადოებრივი სივრცე — განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვიტუტის გამოყენებით;

(18) საკვლევი არელი — წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც საწყის ეტაპზე ემთხვევა გეგმარებით ერთეულს და დამატებით დაზუსტდება განაშენიანების გეგმის კონცეფციების შეფასებისას, მერის/სამსახურის გადაწყვეტილებით;

(19) საკოორდინატო ბადე — მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლიობა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;

(20) სამშენებლო პოტენციალი — ტერიტორიის განაშენიანებისა ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;

(21) საცხოვრებელი სიმჭიდროვე — ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვის ნაირსახეობა, სამშენებლო ტერიტორიაზე საბალანსო ერთეულისთვის დადგენილი საცხოვრებელი ერთეულის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე (სფ/ჰა) ან შენობაში (სფ/მ), დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად;

(22) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) გეგმა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს ინტერესებში;

(23) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) რუკა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;

(24) ფოტოგრამმეტრია — სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგამოსახულების მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული

მახასიათებლების განსაზღვრისთვის;

(25) ფოტოფიქსაცია — ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით, კონკრეტულ დროში მისი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით;

3. ტერმინთა განმარტება

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია შემუშავებულია „განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 14 თ ბ N 14.14230459 ბრძანების და მასზე თანდართული დავალების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს შესაბამისად.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, როგორც ხედვა/მონახაზი, მიწათსარგებლობის ქვეზონებისათვის აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

კონცეფცია შედგენილია შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნა;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- დასახლებათა სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- მიწის რაციონალური გამოყენება;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
- მიმზიდველი და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
- ტერიტორიების განახლებისათვის ან/და ინტენსიფიკაციისათვის, მიწის მომჭირნედ და დაზოგვით გამოყენება, სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ტერიტორიის ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება სხვა ერთეულებთან პარტნიორობის საფუძველზე;
- ინფრასტრუქტურის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება, სხვა მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების დაძლევა;

3. შესავალი

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია შემუშავებულია „განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 14 თ ბ N 814.14230459 ბრძანების და მასზე თანდართული დავალების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს შესაბამისად.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, როგორც ხედვა/მონახაზი, მიწათსარგებლობის ქვეზონებისათვის აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

კონცეფცია შედგენილია შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნა;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- დასახლებათა სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- მიწის რაციონალური გამოყენება;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
- მიმზიდველი და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
- ტერიტორიების განახლებისათვის ან/და ინტენსიფიკაციისათვის, მიწის მომჭირნედ და დაზოგვით გამოყენება, სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ტერიტორიის ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება სხვა ერთეულებთან პარტნიორობის საფუძველზე;
- ინფრასტრუქტურის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება, სხვა მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების დაძლევა;

4. საბაზისო მონაცემთა მატრიცა და თანმდევი ანგარიშები

მონაცემთა (ინდიკატორების) მატრიცა (სარეკომენდაციო)

ფიზიკური გარემო					
#	დარგი/სფერო	მახასიათებელი	შედეგი	წყარო	შემსრულებელი
1.	სივრცით-ტერიტორიული მონაცემები				
1.1.	ორთოფოტოფიქსია	<p>მაღალი გარჩევადობის აეროფოტო. პროექცია აგებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატორთა სისტემაში.</p> <p>პროექციის აუცილებელი ელემენტებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკოორდინატო ბადე (მასშტაბის შესაბამისი ბიჯით); • მუნიციპალიტეტის, დასახლების და/ან მისი ნაწილების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (არსებობის შემთხვევაში), და გეგმარებითი ერთეულის საზღვრები. • ინტერეს-წერტილები ტექსტურად (გზათა/ქუჩათა ქსელი; კულტურისა და დასვენების; რელიგიურ-საკულტო; ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო, სამაშველო და სხვა დაგეგმარებისთვის მნიშვნელოვანი ობიექტები), ტაქსონომიური დონის შესაბამისად. • შტამპი, გადაღების თარიღით, პირობითი აღნიშვნები, ნახაზის და პროექტის რეკვიზიტებით (მარჯვენა მხარეს). 	ორთოფოტოგეგმ ა იხ. გვერდი 21	საველე გადაღება. საჯარო რეესტრის ან სხვა წებისმიერი თავისუფალი რესურსის გამოყენება და/ან შეთავსება. (პერიოდი/თარიღი . 2021წ; გადაღების მეთოდი: დრონი)	სერგო მიქაბერიძე - ტოპოგრაფი
1.2.	გეომორფოლოგია	გეოლოგიური დარაიონების მონაცემები, გვ/გდგ გეგმარებითი ერთეულების შესაბამისად. გდგ მიზნებისთვის: საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემები ბუნებრივი ან/და ტექნოგენური პროცესების შედეგები, ასევე ამგვარი რისკების ქვეშ მყოფი ტერიტორიები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	თემატური გეგმა და გეომორფოლოგიური კვლევის ანგარიში იხ. გვერდი 22-52	საველე დაკვირვება. კამერალური კვლევა, რელევანტური სამეცნიერო ატლასების/კვლევების გამოყენებით.	ტარიელ ტუსკია - გეოლოგი
1.3.	სეისმოლოგია	სეისმური მიკროდარაიონების მონაცემები, გვ/გდგ გეგმარებითი ერთეულების შესაბამისად.	თემატური გეგმა გეომორფოლოგიური კვლევის ანგარიში იხ. გვერდი 22-52	ტექნიკური რეგლამენტი- „სეისმომედეგი მშენებლობა“ რელევანტური სამეცნიერო ატლასების/კვლევების მონაცემები.	ტარიელ ტუსკია - გეოლოგი
1.4.	კლიმატი	კლიმატის მიკროდარაიონების მონაცემები. განაშენიანების დეტალური გეგმის შემთხვევაში - საჭიროების შემთხვევაში ინსოლაცია.	მონაცემები იხ. გვერდი 53-133	ტექნიკური რეგლამენტი- „სამშენებლო კლიმატოლოგია“	ლევან ზაზაძე- ეკოლოგი/ეკოსისტემების მართვის სპეციალისტი
1.5.	ბუნებრივი ფასეულობები	არსებობის შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი მემკვიდრეობის, მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი დაცული ტერიტორიების მონაცემები. • ბუნების ძეგლები და/ან ბუნებრივი ობიექტები (ჭაობი, ტორფნარი, დიუნი და მსგ.) 	თემატური გეგმა და დენდროლოგიური კვლევის ანგარიში იხ. გვერდი 134-209	საველე დაკვირვება/აღწერა, დარგობრივი გეგმის/კანონმდებლობის შესაბამისად.	იმედა შანიძე - მეტყვევი სპეციალისტი

1.6.	კულტურული ფასეულობები	<p>არსებობის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის მონაცემები მხოლოდ. ხოლო თუ არ არსებობს: კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი და ინდივიდუალური დამცავი ზონები. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. 	<p>თემატური გეგმა, ისტ.-კულტ. საყრდენი გეგმის ძირითადი სინთეზური რუკის ფრაგმენტების სახით</p> <p>იხ. გვერდი 26-35</p>	<p>საველე დაკვირვება/აღწერა, დარგობრივი გეგმის/კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>ისტ.-კულტ საყრდენი გეგმა</p>	<p>ზაზა ქათამაძე - არქიტექტორი</p>
1.7.	ეკოლოგია	<p>უშენ ტერიტორიაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ჰაერის, წყლის, ნიადაგის მდგომარეობა; აკუსტიკური რეჟიმის მონაცემები; ბუნებრივი რესურსების გამოყენება; ნარჩენების მართვის მონაცემები. <p>ნაშენ ტერიტორიაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> აკუსტიკური რეჟიმის მონაცემები; ნარჩენების მართვის მონაცემები; დენდროლოგიური მონაცემები (საჯარო სივრცეში). 	<p>ეკოლოგიის კვლევის ანგარიში</p> <p>იხ. გვერდი 53-133</p>	<p>საველე დაკვირვება</p>	<p>ლევან ზაზაძე - ეკოლოგი/ეკოსისტემების მართვის სპეციალისტი</p>
1.8.	მიწათდაფარულობა	<p>1. ნაშენ ტერიტორიაზე, როდესაც ერთ კვარტალს მოიცავს მხოლოდ (მ 1:500-1:1000):</p> <p>1.1. განაშენიანებული მიწის ნაკვეთები;</p> <p>1.2. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების მიწის ნაკვეთები;</p> <p>1.3. სამრეწველო ტერიტორიები;</p> <p>1.4. საინჟინრო ინფრასტრუქტურის მიწის ნაკვეთები;</p> <p>1.5. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მიწის ნაკვეთები, მათ შორის ქუჩები/გზები;</p> <p>1.6. ლოგისტიკური-სასაწყობო მიწის ნაკვეთები;</p> <p>1.7. ნარჩენების მართვის ობიექტების მიწის ნაკვეთები;</p> <p>1.8. სპეციალური გამოყენების მიწის ნაკვეთები;</p> <p>1.9. დეგრადირებული (ბრაუნფილდ) და გამოუყენებელი მიწის ნაკვეთები;</p> <p>1.10. გამწვანებული მიწის ნაკვეთები;</p> <p>1.11. წყლის ობიექტების მიწის ნაკვეთები;</p> <p>1.12. სხვა მიწის ნაკვეთები, რომელთა ფუნქციური პროფილი უცნობია ან დადგენილი არ არის.</p>	<p>თემატური გეგმა</p> <p>იხ. გვერდი 14-18</p>	<p>კვლევის მონაცემები</p>	<p>ზაზა ქათამაძე - არქიტექტორი,</p>
1.9.	გეგმარებითი ერთეულის საერთო ფართობი	<p>კვ.კმ / ჰა / კვ.მ</p>	<p>იხ. გვერდი 18</p>	<p>დავალება გეგმის შემუშავების თაობაზე: დაზუსტებული გეგმარებითი ერთეულის საზღვრები.</p>	<p>ზაზა ქათამაძე - არქიტექტორი,</p>
1.10.	მიწათდაფარულობის შესაბამისი ტერიტორიების ფართობები	<p>კვ. კმ / ჰა / კვ.მ.</p>	<p>იხ. გვერდი 18</p>	<p>ტოპოგრაფიული გეგმა საბაზისო რუკა</p>	<p>სერგო მიქაბერიძე - ტოპოგრაფი</p>
1.11.	ნაშენი ტერიტორიის ფართობი	<p>კვ. კმ / ჰა / კვ. მ</p>	<p>იხ. გვერდი 18</p>	<p>ტოპოგრაფიული გეგმა საბაზისო რუკა</p>	<p>სერგო მიქაბერიძე - ტოპოგრაფი</p>
1.12.	უშენი ტერიტორიის ფართობი	<p>კვ. კმ / ჰა / კვ. მ</p>	<p>იხ. გვერდი 18</p>	<p>ტოპოგრაფიული გეგმა საბაზისო რუკა</p>	<p>სერგო მიქაბერიძე - ტოპოგრაფი</p>
1.13.	საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე	<p>ბინა ტერიტორიაზე (ბ/ჰა)</p>	<p>იხ. გვერდი 18</p>	<p>ტოპოგრაფიული გეგმა და განაშენიანების კვლევა</p>	<p>სერგო მიქაბერიძე - ტოპოგრაფი</p>
1.14.	განაშენიანების მონაცემები - განაშენიანების	<p>კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.</p> <ul style="list-style-type: none"> განაშენიანების რეგულირების პარამეტრები; განაშენიანების სახეობა; 	<p>იხ. გვერდი 21</p>	<p>საბაზისო რუკა და განაშენიანების კვლევა</p>	<p>სერგო მიქაბერიძე - ტოპოგრაფი</p>

	სტრუქტურისა და ფუნქციური დანიშნულების კვლევა	<ul style="list-style-type: none"> გამოყენების სახეობა; მიწის ნაკვეთის ფართობის პარამეტრები; განაშენიანების წყობა (სტრუქტურა); 			
2.	ინფრასტრუქტურა				
2.1.	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	<p>საავტომობილო გზებისა და დასახლების ძირითადი გამჭოლი ქუჩების ქსელი, გეგმარებითი ერთეულების მიმდებარედ და არაუმეტეს 300 მ რადიუსში.</p> <p>ქსელში ინდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია:</p> <ul style="list-style-type: none"> კატეგორია, დანიშნულება და ფიზიკური მდგომარეობა; გამტარი ხაზოვანი ნაგებობის ტიპოლოგია (ხიდი, გვირაბი, ესტაკადა); საჯარო ავტოპარკირება. 	თემატური გეგმა იხ. გვერდი 228-	ტოპოგრაფიული გეგმა; საბაზისო რუკა და საველე კვლევა	ზიძინა ბიბილეიშვილი - ავტომობილების და საავტომობილო მეურნეობის ინჟინერი
2.2.	ინფრასტრუქტურა	<p>მომარაგების და/ან არინების მაგისტრალური სადენების ქსელი, იდენტიფიცირებული სახეობის მიხედვით (წყალმომარაგება და წყალარინება; ელექტრომომარაგება; ბუნებრივი აირით მომარაგება; კავშირგაბმულობა), გეგმარებითი ერთეულების მიმდებარედ და არაუმეტეს 300 მ რადიუსში.</p> <p>ქსელში ინდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია:</p> <ul style="list-style-type: none"> გამტარი ხაზოვანი ნაგებობის ტიპოლოგია (ხიდი, მილი, არხი, ტრანშეა და მსგ.) კატეგორია, დანიშნულება და ფიზიკური მდგომარეობა; სიმძლავრის (გამტარუნარიანობის) მონაცემები. დამხმარე ნაგებობის ტიპოლოგია (სატუმბო-საქაჩი, შემკრები და მსგ.) 	თემატური გეგმა იხ. გვერდი 18 - 21	ტოპოგრაფიული გეგმა; საბაზისო რუკა და საველე კვლევა	რაულ გოგოლაძე ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია
2.3.	სოციალური ინფრასტრუქტურა	<p>გეგმარებითი ერთეულების მიმდებარედ და არაუმეტეს 300 მ რადიუსში. იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია:</p> <ul style="list-style-type: none"> ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების ობიექტები, და მათი კლასიფიკაცია; რელიგიური და/ან საკულტო ობიექტები, და მათი კლასიფიკაცია. 	თემატური გეგმა იხ. გვერდი 18-	ტოპოგრაფიული გეგმა; საბაზისო რუკა და საველე კვლევა	ზაზა ქათამაძე - არქიტექტორი,
3.	სოციალურ-ეკონომიკური მონაცემები				
3.1.	მოსახლეობის რაოდენობა	<p>იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია:</p> <ul style="list-style-type: none"> მოსახლეობის რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი; 	იხ. გვერდი 267-287	საველე კვლევა საქსტატი	დარეჯან ჩხიკვაძე - სოციოლოგი
3.2.	მოსახლეობის სიმჭიდროვე	<p>საერთო (მიახლოებითი) სიმჭიდროვე:</p> <ul style="list-style-type: none"> მოსახლეობის (საშუალო) რაოდენობა გაყოფილი გეგმარებითი ერთეულის ფართობზე (კაცი/ჰა). 	იხ. გვერდი 267 - 287	მიწათდაფარულობისა და საველე კვლევის ანალიზის შედეგად	დარეჯან ჩხიკვაძე - სოციოლოგი
უფლებრივი გარემო					
#	მონაცემთა სფერო	მახასიათებელი	შედეგი	წყარო	შემსრულებელი
4.	საკადასტრო მონაცემები				
4.1.	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების მონაცემები	<p>გეგმარებით ერთეულთან უშუალო სიახლოვეს არსებობის შემთხვევაში: ქ. ბათუმის მუნიციპალური, და ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების მონაცემები, ასევე დადგენის (დელიმიტაცია) და/ან ადგილზე დაფიქსირების (დემარკაცია) სამართლებრივი აქტების და ოქმების მონაცემები.</p>	თემატური გეგმა იხ.	საჯარო რეესტრი	სერგო მიქაბერიძე - ტოპოგრაფი

4.2.	დაცული და/ან სპეციალური ტერიტორიების საზღვრების მონაცემები	გეგმარებით ერთეულთან უშუალო სიახლოვეს არსებობის შემთხვევაში: საზღვრების მონაცემები, ასევე მათი დადგენის (დელიმიტაცია) და ადგილზე დაფიქსირების (დემარკაცია) სამართლებრივი აქტების და ოქმების მონაცემები.	თემატური გეგმა და მონაცემები იხ. გვერდი 71	საჯარო რეესტრი	ლევან ზაზაძე - ეკოლოგიის დოკტორის ხარისხი
4.3.	მიწის ნაკვეთების მონაცემები	საკადასტრო ერთეულები და მათი კოდები: ნაკვეთები, შენობები, ხაზოვანი ობიექტები; მიწის ნაკვეთის საკუთრებების ტიპები და მესაკუთრეების (დაჯგუფებული) მონაცემები.	საკადასტრო მონაცემები იხ. გვერდი 71-86	საჯარო რეესტრი	ზაზა ქათამაძე - არქიტექტორი
5.	სამართლებრივი აქტების მონაცემები				
5.1.	დარგობრივი გეგმების მოთხოვნები	გეგმარებით ერთეულთან უშუალო სიახლოვეს არსებობის შემთხვევაში: იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: <ul style="list-style-type: none"> • გეგმის რეკვიზიტები; • სპეციალური პირობები; • შემზღუდავი პირობები/რეჟიმები. 	იხ. გვერდი 87	საყრდენი გეგმა	ზაზა ქათამაძე - არქიტექტორი,
5.2.	კანონების/კანონქვე მდებარე აქტების მოთხოვნები	გეგმარებით ერთეულთან რელევანტურობის ქონის შემთხვევაში: იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: <ul style="list-style-type: none"> • აქტის რეკვიზიტები; • სპეციალური პირობები; • შემზღუდავი პირობები/რეჟიმები. 	იხ. გვერდი 87	სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	ზაზა ქათამაძე - არქიტექტორი
6.	დაინტერესებულ პირთა მონაცემები				
6.1.	დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები	იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: <ul style="list-style-type: none"> • მაცხოვრებლების ინტერეს ჯგუფების მოსაზრებები; • დაინტერესებული ორგანიზაციების მოსაზრებები 	იხ. გვერდი 87-93	სოციოლოგიური კვლევა ან საჯარო შეხვედრები	დარეჯან ჩხიკვაძე - სოციოლოგი
6.2.	სახელმწიფო და/ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებები	არსებობის შემთხვევაში: იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: <ul style="list-style-type: none"> • ზოგადი მოსაზრებები; • დაინტერესების ქვეშ არსებული ტერიტორიების მიმართ პირობები. 	იხ. გვერდი 87-93	სოციოლოგიური კვლევა ან საჯარო შეხვედრები	დარეჯან ჩხიკვაძე - სოციოლოგი

სასარეზერვუო უბანის
საპროექტო შენობა

სიმაღლის განსაზღვრის ფორმულა
 $L = H \times Y$
 $73.2 \times 0.4 = 29.28$




დამტკიცებულია

პროექტის შედარებითობის საპროექტო ... 202- წ.
№ ... ბანაშენიანების

ინჟინერი / არქიტექტორი
ფ/კ მურაღ შპს-იპმ კ/ნ 61006000870
ქვემო ინჟინერიის საპროექტო


შეიქმნა
ქვემო ინჟინერიის საპროექტო




სიმაღლის განსაზღვრის ფორმულა

$L = H \times Y$
 $73.2 \times 0.4 = 29.28$

განაშენიანების ფიტალური გეგმა კონსტრუქცია
ექსპლიკაცია



დამტკიცებულია
პროექტის მონიტორინგის საკონსულტო ... 202- წ.
№ ... განარაგებულია
ინჟინერის / არქიტექტორის / მშენებლის / ...
ფ/კ მურაღ შპს-ის კ/ნ 61006000870
კვლევი ინჟინერის სახელი
შპს-ის მფლობელი
ქ.საბურთალოსი მონიტორინგის მფლობელი





წიგნის ბარძი


ბანაშინის რაიონის მუნიციპალიტეტის სოფ. ბანაშინის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

წიგნის ბარძის რეგულაციის პროექტი


- სიმბოლოები
- გეგმარებითი ტერიტორია
 - საპროექტო საზღვარი
 - საპროექტო შენობა



დამამუშავებელი
 საპროექტო ინჟინერის სახელმწიფო დასახელება, 202-წ.
 № _____ განკარგულებაში
 ინჟინერი / პროექტი
 შპს "ქვემო ქართლი" კ/ს 61006000870
 ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტის სოფ. ბანაშინი
 ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტის მერია



ვიზუალური ხედი



შპს/სსიპ/სსიპი:	მისამართი:	
შპს "მაკინო"	d. პაიუმი, ვარნაკის მუნიციპალიტეტის ქუჩა №51	
მამბაბი:		
თარიღი:		
სტადია	ფურცელი	რაოდენობა
პროექტი	ა -	

ფოტო მონტაჟი



შპს-ს მფლობელი:	მისამართი:	
შპს "მაკაბი"	ქ. პაიუმი, ვარნაკის ქუჩის ქუჩა №51	
მამფლობელი:		
თარიღი:		
სტადია	შუბრული	რეკონსტრუქცია
პროექტი	ა -	

ფოტო მონტაჟი



შმსრულებელი:	მისამართი:	
შ.პ.ს. "ვაუერ"	ქ. პაიუმი, ვარნაკის გზის ქუჩა №51	
მამბარი:		
თარიღი:		
სტატუსი	შუქველი	რაოდენობა
პროექტი	ა -	

ქსპლიკაცია

- გეგმარეგულირებადი პერიმეტრი
- საპლაზატრო საზღვარი
- საპროექტო ტერიტორია
- არსებული შენობა
- სამართო საზღვრების ტერიტორია - სმრპმტპ
- საპროექტო შენობა
- ქუჩის ტერიტორია
- სს-4 საცხოვრებელი ზონა სს-2

განაშენიანების სახეობა

ღ რსა ღ რსაოპოლ

- მ (საპროექტო)
- მ (არსებული)

კალაქმშენიანების კონსტრუქციები

- 0.5
- 2.5
- 3.0
- 4.0

TH მამს. სიმაღლე ქუჩის ღრმადან განაშენიანების გეგმული რეგულირების საპლაგმული საზღვრი

საინჟინერო ინფრასტრუქტურა

- კომუნიკაცია
- საინჟინერო საზღვარი
- საინჟინერო საზღვარი
- საინჟინერო საზღვარი
- საინჟინერო საზღვარი
- საინჟინერო საზღვარი

ღაწმგეგმული და ობიექტები

- ალმის შენობა
- ბაზონი
- წითლიფანო ხე
- წითლიფანო ხე
- პალმა
- ბანათების პოპი
- საბზარ ნიშანი
- ოპოპისი
- პატ. ღობე
- შუქმეზანი
- ღმკორატორული გამწვანება
- მლპობი
- ღამპოინი
- ბაღანი
- მლქტრო ანბ

ღამტპმგეგმული

ბათონის მონიტიკატიტების საბრმული 202-წ.

№ განკარგული

ინფორმაციო / მმმრული

მ/ვ მურღ მმგეგმი მ/ნ 61006000870

მმმრ მონიტიკაციის საზღვრული

მონიტიკაციული

მკათმების მონიტიკაციების მირია

ფუნქციური ზონა - სს
ფუნქციური მკლსონა - მადლი ინტენსივის საცხოვრებელი ზონა - სს-4

ურბანი კონტის გამოყენების რეგულირებადი და საცხოვრებელი სახეობები:
ა) ინფორმაციული საცხოვრებელი სახეობები (მონიტირებული სახეობა);
ბ) სატრეკაციო სოტრეკები (პარკი);
გ) ინფორმაციული სასურსეთი და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;

განაშენიანების ძირითადი პარამეტრები და ზღერული მმგეგმების დამატების პირობები

გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების გეგმით დღმგეგმული პარამეტრები

განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღერული მმგეგმების გეგმარება, შესაღერებელი მოქმედი კონსტრუქციის შესაღერებელი

განაშენიანების სახეობა
განაშენიანების სახეობა-ღმ/ღმგეგმული

განაშენიანების რეგულირების სახეობა (წითელი სახეობა)
ღმგეგმული საკადსტრო საზღვარზე განაშენიანების საღმგეგმული (ღმგეგმული სახეობა) ინტენსიუ

სამშენიანო მარის ნაკეთის მინიმალური ფართობი მუღმგეგმ -1476 კვმ

განაშენიანების მამქმსაღერო საღმგეგმ-14 მ


განაშენიანების რეგულირების პარამეტრები		საპროექტო მარის ნაკეთზე აგოსადგობის რეგულირება - სულ 100 აგოსადგობა	
მონიტირებული	განაშენიანების	პარამეტრი	მნიშვნელობა
1	2	3	4
1	2	3	4
1	05.32.17.400	1476.00	0.5
2	05.32.17.401	4900.00	0.5
3	05.32.17.402	2971.00	0.5
4	05.32.17.410	2038.00	0.5
5	05.32.17.031	1455.00	0.5
6	05.32.03.495	1001.00	0.5
7	05.32.03.877	1825.00	0.5
8	05.32.03.521	996.00	0.5
9	05.32.03.594	1019.00	0.5
10	05.32.03.593	1442.00	0.5
11	05.32.03.621	1601.00	0.5
12	05.32.17.284	641.00	0.5
13	05.32.03.883	901.00	0.5
14	05.32.03.824	125.00	0.5
15	05.32.17.314	2144.00	0.5
16	05.32.03.632	1200.00	0.5
17	05.32.03.734	368.00	0.5

გამწვანების პირობები


გეგმარებითი ერთეულზე ღმგეგმული განაშენიანების რეგულირების პარამეტრების მინიმალური დამორბა მმგეგმული მონიტირების და სასოღმგეგმული სოტრეკების არსებობა ხეს მონიტირების არ ღმგეგმული აგოსადგობის რეგულირების პარამეტრების მონიტირება არ აგოსადგობა 5 მეტრს/სხვა მმგეგმული დამორბა უღა იფის არა ნაკლები 3 მეტრის.

ღმგეგმული მონიტირების განიხილვის შემთხვევაში ღმგეგმული რეგულირების პარამეტრების მონიტირების და სასოღმგეგმული სოტრეკების არსებობის გეგმარების მონიტირების პირობები

ღმგეგმული მონიტირების განიხილვის შემთხვევაში ღმგეგმული რეგულირების პარამეტრების მონიტირების და სასოღმგეგმული სოტრეკების არსებობის გეგმარების მონიტირების პირობები



მონიტირების საზღვრული
საპროექტო მონიტირების რეგულირების პარამეტრების მონიტირების და სასოღმგეგმული სოტრეკების არსებობის გეგმარების მონიტირების პირობები



დაგეგმილი ცვლილებების მიზანი

გეგმარებითი ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების მიზანია ქალაქ ბათუმში გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა #3 და #5-ში არსებული მიწის ნაკვეთებზე ს/კ 05.32.17.401; 05.32.17.400; 05.32.17.402 ში მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვით ირკვევა, ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია შემდეგი: პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთების განვითარებას, წარსულში სასოფლო განაშენიანების საქალაქო განაშენიანებით ჩანაცვლებას, საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, მოქალაქეთა ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას, გასულ საუკუნეში აშენებული შენობების თანამედროვე სტანდარტების შენობებით ჩანაცვლებას, შესაბამისად სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ერთეულად ჩამოყალიბებას, ეკონომიკის დარგის-მშენებლობის განვითარებას, რაც ასევე ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას . ქალაქის ე.წ ახალი მიერთებული ტერიტორიების ინტენსიური და მდგრადი განვითარება ქალაქთმშენებლობითი და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით გამართლებული და მიზანშეწონილია. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე მრავალსართულიანი შენობების განთავსება არ გამოიწვევს დისონანსის შეტანას და ურბანული ქსოვილის რღვევას, რადგან მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე შენდება და აშენებულია მრავალსართულიანი შენობები, განვითარების შედეგად გათვალისწინებული იქნება ქალაქგეგმარებითი მოთხოვნები, გამწვანების ადგილ(ებ)ი, ავტოსადგომები და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

საპროექტო მიწის ნაკვეთები მდებარეობს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში (სზ-4), სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი $k_2=2,5$ -ს. ჩვენს მიერ დაგეგმილი შენობების სავარაუდო სართულიანობა შეადგენს სსიპ(სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული სიმაღლეების მიხედვით) აქედან გამომდინარე #1 შენობის სიმაღლე განისაზღვრა 71,5 მ მიწის დონიდან ხოლო #2 შენობის სიმაღლე განისაზღვრა 68,2 მ მიწის დონიდან. ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი $k_2=9,0$. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე , დაგეგმილი პროექტის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - k_2 კოეფიციენტის გაზრდას 2,5-დან 9,0 მდე, რაც „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებს განაშენიანების დეტალურ გეგმის შემუშავებას.



1 : 500



შენიშვნა:	1. კომპლექსის საპროექტო ნივთიერება
	2. ნივთიერების სკალა 1 : 500
შემამუშავებელი:	ს. ბერიძე
შემამუშავებელი:	ს. ბერიძე
შემამუშავებელი:	ს. ბერიძე
შემამუშავებელი:	ს. ბერიძე

შპს “სამშენებლო კომპანია სურმანიძეები”

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

26 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმის ადლიის
დასახლებაში. გრ. ლორთქიფანიძის ქუჩა №26

ბათუმი. 2020 წ.

შპს “სამშენებლო კომპანია სურმანიძეები”

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

26 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმის ადლის
დასახლებაში. გრ. ლორთქიფანიძის ქუჩა №26

დირექტორი:

/ფრ. სურმანიძე/

გეოლოგი:



/ს. მელქონიანი/

ბათუმი. 2020 წ.

სარჩევი

I. ტექსტური ნაწილი

33

1. ტექნიკური დავალება ----- 1
2. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა (ტექსტური ნაწილი) ----- 2-6
3. გრუნტების გრანულომეტრიული ანალიზების შედეგები (ცხრილი №1)----- 7
4. გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების შედეგები (ცხრილი №2) ----- 8

II. გრაფიკული ნაწილი

1. ჭაბურღილთა ლითოლოგიური სვეტები 12 ფურცელზე ----- 9-20
2. გრუნტების პირობითი აღნიშვნები ----- 21
3. სამშენებლო მოედნის გრძივი ლითოლოგიური პროფილები ----- 22-26
4. ადგილის ტოპოგეგმა 1:400 მასშტაბში მასზე დატანილი ჭაბურღილებით ---- 27

ტექნიკური დავალება

ობიექტი: 26-სართულიანი საცხოვრებელი სახლი მიწისქვეშა ავტოპარკინგით.

დამკვეთი: შპს "სამშენებლო კომპანია სურმანიძეები"

ობიექტის მდებარეობა: ქ. ბათუმი. ადლიის დასახლება, გრ. ლორთქიფანიძის ქუჩა ქუჩა №26

შენობის კონტური გეგმაზე: მიახლოვებით მართკუთხედის ფორმის

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: IV (მეოთხე)

შენობის ტიპი: მონოლითური რკინაბეტონის კარკასი

საძირკვლების სავარაუდო ტიპი: მონილითური არმირებული ფილა

პროექტირების სტადია: მუშა დოკუმენტაცია

საინჟინრო-გეოლოგიური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნას აკინძული სამ ეგზემპლარად

05.02.2020წ.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ავტორი: / /

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

2020 წლის თებერვალში, ქ. ბათუმის ადგილის დასახლებაში, გრ. ლორთქიფანიძის ქუჩის №26 ნაკვეთზე, შპს "სამშენებლო კომპანია სურმანიძეები"-ს მიერ 26-სართულიანი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, დამკვეთისავე მოწვეული ინჟინერ-გეოლოგის ს. მელქონიანის მიერ ჩატარებული იქნა სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა, ადგილის გეოლოგიური ჭრილისა და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესასწავლად. ამ მიზნით, პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის კონტურში გაიბურდა 6 ჭაბურღილი, სიღრმით 33მ (თითოეული) და დიამეტრით 131მმ, რისთვისაც გამოყენებული იქნა გერმანული წარმოების თვითმავალი საბურღი დანადგარი G50-U. №3 ჭაბურღილიდან აღებული იქნა ქვიშა-კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტების დაშლილი სტრუქტურის 9 ნიმუში და თიხოვანი და ალევრიტული ფენებიდან დაშლილი სტრუქტურის 14 მონოლითი, ლაბორატორიულ პირობებში მათი გრანულომეტრიული შემადგენლობისა (მსხვილნატეხოვანი და ქვიშოვანი გრუნტები) და ფიზიკური მახასიათებლების (თიხები და ალევრიტები) შესასწავლად და ამისათვის საჭირო ანალიზები შესრულებული იქნა წარმოდგენილი დასკვნის ავტორის მიერ ქ. თბილისის სს "ახალი საქალაქმშენპროექტი"-ს გეოლოგიური ჯგუფის გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. გარდა ბურღვითი სამუშაოებისა, კვლევის საველე პერიოდში იყო მცდელობა საველე დინამომეტრი ზონდირების ჩასატარებლად, მაგრამ ზედა კენჭნარ ფენაში ერთეული წვრილი კაჭრის ჩანართებმა ამისი საშუალება არ მოგვცა (ზონდის კონუსი გვერდზე ვარდებოდა, პირველი ქვედა შტანგა რამდენადმე იღუნებოდა და ცდის გაგრძელება შეუძლებელი ხდებოდა).

გეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას წინ უსწრებდა სამშენებლო მოედნისა და მისი უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული სიმაღლეთა აბსოლიტურ ნიშნულებში, მასშტაბით 1:500 (წარმოდგენილ დასკვნას თან ერთვის ტოპოგრაფიის ქსეროასლი დაახლოებით 1:400 მასშტაბში მასზე დატანილი ჭაბურღილებით). ამრიგად, ჭაბურღილთა ნიშნულები აღებული იქნა გეოლოგის მიერ უკვე არსებული ტოპოგრაფიიდან. შესრულებულ სამუშაოთა შედეგად მიღებული იქნა შემდეგი ინფორმაცია და საჭირო დასკვნები:

1. სამშენებლო მოედანი (საერთო ფართობი დაახლოებით 1260მ²) მდებარეობს ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გრ. ლორთქიფანიძის ქუჩის №26 ნაკვეთზე. აქ არსებული 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლი და 1-სართულიანი კაფე (მაღაზიით), პროექტის თანახმად ექვემდებარება აღებას. სამშენებლო მოედნის შორიახლოს ამ ბოლო წლებში აშენდა (ან მშენებლობის პროცესშია) რამოდენიმე მაღლივი შენობა (14-22 სართული) მიწისქვეშა ავტოპარკინგებით, რომლებიც დგას მთლიანი არმირებული ფილის ტიპის საძირკვლებზე. ხსენებულ შენობათა კონსტრუქციულ ელემენტებზე ჯერჯერობით დეფორმაციების კვალი არ შეინიშნება, რაც იმის მაუწყებელია, რომ მათ საფუძვლებში დასაშვებზე მეტი სიდიდის (არათანაბარ) ჯდენებს ადგილი არ ქონია.

3. კლიმატური პირობების მიხედვით ტერიტორია შედის ზომიერად თბილ და ტენიან კლიმატურ ზონაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცხელი ზაფხული, ჭარბი ტენიანობა და საკმაოდ დიდი რაოდენობის ატმოსფერული ნალექები წლის ყოველ სეზონში. ქარების გაბატონებული მიმართულება აღმოსავლეთური და სამხრეთ-დასავლეთურია. ქვემოთ მოყვანილია რაიონის კლიმატური პირობების ზოგიერთი კონკრეტული მონაცემები.

ჰაერის აბსოლიტური მინიმალური ტემპერატურა	-----	8 ⁰ C
ჰაერის აბსოლიტური მაქსიმალური ტემპერატურა	-----	+40 ⁰ C
ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა	-----	+14,5 ⁰ C
ნალექების საშუალო წლიური ნორმა	-----	2531 მმ

ნალექების მაქსიმალური რაოდენობა დღეღამეში	-----	261 მმ
ირიბი წვიმების ინდექსი	-----	5 მ/წმ
ქარის ჩქაროსნული დაწოლა	-----	70 კმ/მ ²
თოვლის საფარის დაწოლა	-----	70-80 კმ/მ ²
ჰაერის შეფარდებითი საშუალო წლიური ტენიანობა	-----	80%
გრუნტის სეზონური მზრალობის სისქე	-----	0

3. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ადგილი მდებარეობს კახაბრის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, I ზღვიურ ტერასაზე (იმავედროულად მდ. ჭოროხის I ტალის ზედა ტერასა), მისთვის დამახასიათებელი მეტად მარტივი და სწორი ზედაპირით, ზღვის სანაპირო ხაზიდან დაახლოებით 250მ-ის დაცილებით. ზედაპირის ძალზე მცირედი, თვალთ ძნელად შესამჩნევი საერთო დახრილობა მიმართულია ჩრდილო-დასავლეთით, ზღვისაკენ. უშუალოდ სამშენებლო მოედანზე, ზედაპირი, გარედან შემოტანილი გრუნტის ზარჯზე რამდენადმე ამალღებულა და მისი აბსოლუტური ნიშნულები იცვლება 4,10-4,40მ-ის ფარგლებში. ზედაპირული ნაკადი სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ საგრძობლად გაძნელებულა, თუმცა ადგილი ატმოსფერული ნალექებით არ იტბორება. მიუხედავად აღნიშნულისა, საპროექტო მშენებლობის I სართულის სათავსოებში ჭარბი ტენიანობის ნაწილობრივ მაინც "შესარბილებლად", მიზანშეწონილი იქნებოდა მისი იატაკის დონის ამოწევა 4,70-4,80მ-ის ნიშნულამდე.

4. ადგილის გეოლოგიური ჭრილი (უშუალოდ სამშენებლო მოედნის კონტურზე) 33მ-ის სიღრმემდე აგებულია მეოთხეული ასაკის, ალუვიურ-დელუვიური, ზღვიურ-ალუვიური და წმინდა ზღვიური გენეზისის წარმონაქმნებით, რომელთა შორისაც გამოყოფილია ბუნებრივი დალექვის შემდეგი 7 ლითოლოგიური სახესხვაობის შრე:

შრე-2 — მურა-მოყავისფრო შეფერილობის ძნელადპლასტიური ალუვიურ-დელუვიური თიხნარი (პრაქტიკულად — ნიადაგ-მცენარეული ფენა), სიმძლავრით 0,3-0,5მ, განლაგებულია შესწავლილი ჭრილის სულ ზედა ნაწილზე, უმეტესწილად უშუალოდ ტექნოგენური ფენის ქვეშ და პროექტის თანახმად იგი საძირკველთა საფუძვლიდან მოცილებული იქნება.

შრე-3 — მაღალი სიმკვრივის ზღვიურ-ალუვიური კენჭნარი ქვიშა-ხრეშოვანი შემავსებლითა და ერთეული წვრილი კაჭრის ჩნართებით, საერთო სიმძლავრით 6,5-9,7მ, 2-3 განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ფენების სახით, ვრცელდება ზედაპირიდან 11,1-15,8მ-ის სიღრმემამდე და გამოირჩევა ძალზე მაღალი მზიდუნარიანობით. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ლითოლოგიის გრუნტების სიმძლავრის ფართო დიაპაზონში ცვლილება მოკლე მანძილზე, სავსებით ლოგიკურია, რადგანაც ეს ადგილი ახლო წარსულში მდ. ჭოროხის ქვედა წელის დელტის ნაწილი იყო და ასეთ პირობებში დალექილი მდინარეული ალუვიონისათვის აღნიშნული გარემოება სავსებით ბუნებრივია.

შრე-4 — საშუალო სიმკვრივის ზღვიურ-ალუვიური გენეზისის ხრეშოვანი გრუნტი 20%-მდე კენჭნარი ფრაქციის შემცველობითა და ძირითადადში მსხვილი და ხრეშოვანი ქვიშების შემავსებლით, საერთო სიმძლავრით 0,3-2,1მ, ერთეული ან 2-4 განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ფენების სახით, ვრცელდება ზედაპირიდან უმეტესწილად 13,5-17,0მ-ის სიღრმემამდე და გამოირჩევა მაღალი მზიდუნარიანობით. ასეთივე გრუნტების 0,3-0,7მ-ის სიმძლავრის თითო ფენა გახსნილია ყველა ჭაბურღილში, გაცილებით უფრო ღრმად, 30,3-31,2მ-ის სიღრმემამდე და ესენიც დიდი მზიდუნარიანობისაა.

შრე-4^ა — ძალზე დაბალი სიმკვრივის ალუვიური გენეზისის ხრეშოვანი გრუნტი უმეტესწილად მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის რბილპლასტიური თიხნარის შემავსებლით, სიმძლავრით 1,2მ, გახსნილია მხოლოდ №4 ჭაბურღილის სიღრმეთა 5,9-7,1მ-ის ინტერვალში და გამოირჩევა დაბალი მზიდუნარიანობით. ეს გარემოება მხედველობაშია მისაღები და იმისათვის, რომ საფუძველში არათანაბარი ჯდენები თავიდან ავიცილოთ, სავარაუდოდ საჭირო

იქნება მისი მოცილება და ქვაბულიდან ამოღებული კენჭნარი (შრე-3) მასალით შეცვლა (სათანადო მოტკეპნით).

შრე-5 — საშუალო და მაღალი სიმკვრივის ზღვიური გენეზისის წვრილმარცვლოვანი ქვიშები, ზრემის იშვიათი და ძალზე თხელი (5-15სმ) ლინზებითა და ზღვიური მოლუსკების ნიჟარების ნამსხვრევებით. საერთო სიმძლავრით 4,1-8,3მ, 2-4 განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ფენების სახით, ვრცელდება ზედაპირიდან 13,5-17,0-ის სიღრმეებამდე და გამოირჩევა მაღალი მზიდუნარიანობით.

შრე-6 — მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის რბილპლასტიური (ახლოსა ძნელადპლასტიურთან) თიხები, საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმკვრივის, საერთო გავლილი სიმძლავრით 7,2-8,8მ, 3-4 განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ფენების სახით, იწყება ზედაპირის მიმართ 17,0-18,8მ-ის სიღრმეებიდან, ვრცელდება 28,3-30,1მ-ის სიღრმეებამდე გადაშრეებულა უმეტესწილად შრე-7 ალევრიტებით, და თითქოსდა უნდა გამოირჩეოდეს დაბალი მზიდუნარიანობით, მაგრამ საქმე აქ რამდენადმე თავისებურია და ამის შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ეს გრუნტები, კერძო სახით ამოღებული, შეხებისას თითქოსდა რბილია და იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ მათი მზიდუნარიანობა დაბალი უნდა იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისინი განლაგებულია უმეტესწილად დიდ სიღრმეებზე და იმყოფება 3კგ/სმ² და უფრო მეტი (სიღრმის მომატებასთან პროპორციულად) მნიშვნელობის ბუნებრივი დაწოლის ქვეშ, ცხადია, მათი რეალური სიმკვრივე და მზიდუნარიანობა მასივში შედარებით უფრო დიდია. ამასთან ერთად, დიდი სიღრმეებიდან კერძო სახით ამოღებული გრუნტი განიცდის დეკომპრესიას და მისი გაიგივება მასივში განლაგებულ გრუნტთან არ შეიძლება. გარდა ამისა, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ შრე-6-ს ზევიდან და ქვევიდან ესაზღვრება მაღალი მზიდუნარიანობის სხვა ლითოლოგიის ფენები, ანუ იგი მოქცეულია დახურულ გარემოში და მასში ჯდენების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამატებითი დაწოლის შედეგად გრუნტიდან გამოდევნილი იქნება წყალი. მაგრამ იმის გამო, რომ ასეთი სახის წვრილდისპერსული სტრუქტურის გრუნტებისათვის დამახასიათებელია წყლის ადვილად შთანთქმის უნარი და პირიქით, წყალგაცემის (მნიშვნელოვანი დატვირთვის შედეგადაც კი) პრაქტიკულად ნულოვანი სიდიდე, მაშინ ნათელი გახდება, რომ შრე-6-ის მნიშვნელოვან სიღრმეებზე განლაგება საფუძველში არსებითი სიდიდის შესაძლო ჯდენების განვითარებისათვის ფაქტორი არ შეიძლება იყოს. სწორედ აღნიშნულ გარემოებათა გამო შრე-6-ის სიმტკიცისა და დეფორმაციული მახასიათებლები, რომლებისც წარმოდგენილ დასკვნაშია მოყვანილი, მნიშვნელოვნად აღემატება სამშენებლო წესებისა და ნორმების ცხრილებში მოყვანილ მონაცემებს. წარმოდგენილი დასკვნის ავტორი საკუთარ მრავალწლიან (48 წელი) გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ამ საკითხისადმი სწორედ ასეთი მიდგომა იქნება ლოგიკური.

გამონაღკისის სახით, მხოლოდ №1 ჭაბურღილის სიღრმეთა 7,8-8,7მ-ის ინტერვალში გახსნილია ლითოლოგიურად შრე-6-ის სრულიად ანალოგიური თიხოვანი გრუნტი (დანომრილია ისე შრე-6-ით) და იმის გამო, რომ იგი გაცილებით უფრო დაბალ სიღრმეშია განლაგებული, მისი მზიდუნარიანობაც შესაბამისად ნაკლები იქნება და ეს გარემოება ქვემოთ, მე-5-ე და მე-6-ე პუნქტებში იქნება ასახული.

შრე-7 — მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის საკმაოდ მაღალი სიმკვრივის თიხნარ-მტკვროვანი და ქვიშნარ-მტკვროვანი ალევრიტები, საერთო გავლილი სიმძლავრით 6,0-11,2მ, 4-7 განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ფენების სახით, ვრცელდება ზედაპირიდან 15,4-16,5მ-ის სიღრმეებზე დაბლა, გრძელდება ჭაბურღილჭა სანგრევებს ქვევითაც და გამოირჩევა მაღალი მზიდუნარიანობით.

ზედა ტექნოგენური ფენა (შრე-1) აქ უმეტესწილად წარმოდგენილია კენჭნარით; სამშენებლო, სამეურნეო და სხვა სახის ნაკვით, თავისი შემადგენლობით არაერთგვაროვანია და მისი სიმძლავრე 0,3-0,5მ-ს არ აღემატება.

ამრიგად, ადგილის გეოლოგიური ჭრილი მთლიანობაში საკმაოდ მარტივია და აქ უმეტესწილად დაცულია განსხვავებული ლითოლოგიის შრეთა ურთიერთმონაცვლეობის

საერთო წესი, თუმცა იდენტურ შრეთა სიმძლავრეები სამშენებლო მოედნის სხვადასხვა ადგილებში საკმაოდ ცვალებადია.

5. ჭრილის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობანი მხოლოდ ნაწილობრივ თანახმად СНИП 2.02.01-83 I და III დანართების №№1-3 ცხრილებისა და ძირითადში ბათუმის რეგიონში ანალოგიურ გეოლოგიურ პირობებში მაღლივი მშენებლობის მრავალწლიანი პრაქტიკისა შემდეგია:

შრე-3 —მაღალი სიმკვრივის ზღვიურ-ალუვიური კენჭნარი ქვიშა-ზრეშოვანი შემავსებლითა და ერთეული წვრილი კაჭრის ჩნართებით. $P^H=2,2\text{გ/სმ}^3$ $C^H=0$ $\varphi^H=45^0$ $E>800\text{კგ/სმ}^2$ $R>15\text{კგ/სმ}^2$ $k_{საგ}=8\text{კგ/სმ}^3$

შრე-4 —საშუალო სიმკვრივის ზღვიურ-ალუვიური გენეზისის ზრეშოვანი გრუნტი 20%-მდე კენჭნარი ფრაქციის შემცველობითა და ძირითადში მსხვილი და ზრეშოვანი ქვიშების შემავსებლით. $P^H=1,95\text{გ/სმ}^3$ $C^H=0$ $\varphi^H=42^0$ $E>600\text{კგ/სმ}^2$ $R>10\text{კგ/სმ}^2$ $k_{საგ}=6\text{კგ/სმ}^3$

შრე-4^ა —ძალზე დაბალი სიმკვრივის ალუვიური გენეზისის ზრეშოვანი გრუნტი უმეტესწილად მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის რბილპლასტიური თიხნარის შემავსებლით. $P^H=1,85\text{გ/სმ}^3$ $C^H=0,07\text{კგ/სმ}^2$ $\varphi^H=38^0$ $E=120\text{კგ/სმ}^2$ $R=2,5\text{კგ/სმ}^2$ $k_{საგ}=3\text{კგ/სმ}^3$

შრე-5 —საშუალო და მაღალი სიმკვრივის ზღვიური გენეზისის წვრილმარცვლოვანი ქვიშები, ზრემის იშვიათი და ძალზე თხელი (5-15სმ) ლინზებითა და ზღვიური მოლუსკების ნიჟარების ნამსხვრევებით. $P^H=1,85\text{გ/სმ}^3$ $C^H=0,050\text{კგ/სმ}^2$ $\varphi^H=35^0$ $E>400\text{კგ/სმ}^2$ $R>7\text{კგ/სმ}^2$ $C_I=0,034\text{კგ/სმ}^2$ $C_{II}=0,050\text{კგ/სმ}^2$ $\varphi_I=33^0$ $\varphi_{II}=35^0$ $k_{საგ}=5\text{კგ/სმ}^3$

შრე-6 —მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის რბილპლასტიური თიხები 17,0-18,8მ-ის სიღრმეებზე დაბლა განლაგებული. $P^H=1,85\text{გ/სმ}^3$ $C^H=0,30\text{კგ/სმ}^2$ $\varphi^H=13^0$ $E=140\text{კგ/სმ}^2$ $R=4,0\text{კგ/სმ}^2$ $C_I=0,20\text{კგ/სმ}^2$ $C_{II}=0,30\text{კგ/სმ}^2$ $\varphi_I=12^0$ $\varphi_{II}=13^0$ $k_{საგ}=3\text{კგ/სმ}^3$

შრე-6 —მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის რბილპლასტიური თიხები (№1 ჭაბურღილი) 7,8-8,7მ-ის ინტერვალში განლაგებული. $P^H=1,80\text{გ/სმ}^3$ $C^H=0,25\text{კგ/სმ}^2$ $\varphi^H=11^0$ $E=100\text{კგ/სმ}^2$ $R=2,2\text{კგ/სმ}^2$ $C_I=0,17\text{კგ/სმ}^2$ $C_{II}=0,25\text{კგ/სმ}^2$ $\varphi_I=10^0$ $\varphi_{II}=11^0$ $k_{საგ}=1,4\text{კგ/სმ}^3$

შრე-7 —მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის საკმაოდ მაღალი სიმკვრივის თიხნარ-მტვეროვანი და ქვიშნარ-მტვეროვანი ალუვირები. $P^H=1,90\text{გ/სმ}^3$ $C^H=0,35\text{კგ/სმ}^2$ $\varphi^H=17^0$ $E>350\text{კგ/სმ}^2$ $R>6\text{კგ/სმ}^2$ $C_I=0,23\text{კგ/სმ}^2$ $C_{II}=0,35\text{კგ/სმ}^2$ $\varphi_I=16^0$ $\varphi_{II}=17^0$ $k_{საგ}=5\text{კგ/სმ}^3$

შენიშვნა: შრე-1 და შრე-2 მშენებლობის საფუძვლიდან ცალსახად მოსაცილებელია და ამიტომ მათი მახასიათებლები ზემოთ მოყვანილი არ არის.

6. მოცემულ გეოლოგიურ პირობებში მიზანშეწონილი იქნებოდა მთლიანი არმირებული ფილის ტიპის საძირკვლების მოწყობა, რომლის ძირის ჩაღრმავება (შრე-3-ში) დამოკიდებული იქნება ავტოპარკინგის სიმაღლეზე (თუ ასეთი საერთოდ გაკეთდება). ქვაბულის ძირის დამატებით მოტკეპნა რაიმე სახის კომპაქტორის გამოყენებით საჭიროებას მოკლებულია, რადგანაც გრუნტი ისედაც მაღალი სიმკვრივისაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საძირკველთა მოწყობის შემოთავაზებული ვარიანტი განხილული უნდა იქნას როგორც რეკომენდაცია და ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ავტორის მიერ.

№1 ჭაბურღილის ზონაში, სადაც სიღრმეთა 7,8-8,7მ-ის ინტერვალში გახსნილია რბილპლასტიური თიხოვანი გრუნტი (შრე-6), მიზანშეწონილი იქნებოდა ან მისი მოცილება, ან შეძლებისდაგვარად ფილის ზომების გარეთ გამოტანა შენობის გარე კონტურის მიართ.

მშენებლობის პროცესში, დაწყებული X სართულიდან, ყოველი შემდგომი სართულის აღმართვის შემდეგ კონტროლის ქვეშ უნდა იქნას აყვანილი შენობის ჯდენები და ეს ანათვლები უნდა გაკეთდეს საძირკვლის ფილის ზედზე, არანაკლებ 3 წერტილში მაინც.

7. გრუნტის წყლები გახსნილია ზედაპირიდან 2,7-3,0მ-ის სიღრმეებზე (ნიშნული -1,40მ) და რადგანაც ეს ღონე დაფიქსირებულია წლის უხვნალექებიანი სეზონის პირობებში, იგი შეიძლება საანგარიშო ღონედაც ჩაითვალოს.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ გრუნტის წყლები მოცემული რეგიონის ფარგლებში ბეტონის კონსტრუქციების მიმართ არააგრესიულია, ხოლო მეტალის (არმატურა) მიმართ იჩენს სუსტად აგრესიულობას და თანაც მხოლოდ მაშინ, როცა კონტაქტი ეპიზოდური ხასიათისაა. მშენებლობის ქვაბულის 4მ-ის სიღრმემდე გახსნისას, გრუნტის წყლების თავდაპირველმა ზვედრიტმა დებიტმა (დებიტი ქვაბულის ძირის ერთული ფართიდან -1მ^2) შეიძლება შეადგინოს 0,05ლ/წმ, მაგრამ უწყვეტი ამოტუმბვის პირობებში ეს ციფრი მნიშვნელოვნად მოიკლებს და 0,03-ს არ გადააჭარბებს.

2041-2070 წლებისთვის იმ დღეთა რიცხვი, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა აღემატება 25°C, 30°C და 35°C-ს, წლის განმავლობაში ყველა სადგურზე გაზრდილია, ისევე როგორც იმ ღამეების რაოდენობა, როდესაც მინიმალური ტემპერატურა 2°C-ზე ქვემოთ არ ჩამოდის. ამავე დროს, მნიშვნელოვნად შემცირდება ყინვიანი დღეებისა და ღამეების რაოდენობა. აღნიშნული პერიოდისთვის, მაღალ მთაში ყინვიანი დღეების რიცხვი უფრო მკვეთრად იკლებს, ვიდრე ყინვიანი ღამეებისა, ხოლო დაბლობ ადგილებში ორივე სიდიდე თითქმის ერთნაირად მცირდება. საუკუნის ბოლოსათვის ყინვიანი დღეები საერთოდ აღარ არის მოსალოდნელი.

დაკვირვების მონაცემებით ნალექების წლიური ჯამის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი კანონზომიერებით ხასიათდება: ყველაზე ნალექიანი აჭარის სანაპირო ზოლია (2,300 მმ-ზე მეტი). სანაპიროდან აღმოსავლეთით და ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდის მიხედვით ნალექის წლიური რაოდენობა თანდათან იკლებს. ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების რაოდენობა სხვადასხვაგვარი პროცენტული თანაფარდობით მცირდება, მაგრამ განაწილების კანონზომიერება უცვლელი რჩება.

2041-2070 წლების პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 9%-ით მცირდება. ყველაზე მეტად (12.3%) ფსანაურში, ყველაზე ნაკლებად კი საგარეჯოში (5.3%). ნალექის წლიური რაოდენობა ყველაზე მეტად იმერეთში იკლებს, მაქსიმალური კლებაა საჩხერეში (17.9%-ით). დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კლება 3.6-15.3%-ის ფარგლებშია. გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდი და ფოთი, სადაც ნალექი 8-10%-ით იზრდება.

2071-2100 წლების პერიოდში, 2041-2070 წლების პერიოდთან შედარებით, ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, იზრდება ან მცირდება 1-6% პროცენტის ფარგლებში.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარის მნიშვნელობა 1971-2000 პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში 0.4მ/წმ (ლაგოდეხი) - 4მ/წმ-ის (ფარავანი) ფარგლებში მერყეობდა, დასავლეთ საქართველოში კი 0.2 (ლენტეხი) - 5.5მ/წმ (ქუთაისი) ფარგლებში.

მომავალში ამ პარამეტრის უდიდესი მნიშვნელობები კვლავ ქუთაისშია მოსალოდნელი. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე წლიურად და სეზონების მიხედვითაც მცირე ცვლილებას განიცდის ± 0.5 მ/წმ დიაპაზონში. საშუალოდ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე პირველ პერიოდში 0.4 მ/წმ, ხოლო მეორეში კი 0.3 მ/წმ-ით იზრდება. ორივე პერიოდში ქარის სიჩქარის რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება არ ვლინდება არც გეოგრაფიული მდებარეობის და არც სეზონური ცვალებადობის თვალსაზრისით.

კლიმატის ცვლილების ფონზე შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (წყალდიდობა-წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი, ძლიერი ქარი, გვალვა და სხვ.) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწყურულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების რაოდენობა და სიმძაფრე. ინტენსიურად დნება საქართველოს მყინვარები.

საქართველოში კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების ფართო სპექტრი გამოვლინდა და მომავალში ნეგატიური ეფექტი კიდევ უფრო გამძლიერდება. ქვეყნის მთავარი მიზანია, კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის განვითარებით, ქვეყნის მზადყოფნის და ადაპტაციის უნარის გაუმჯობესება, რაც შეამცირებს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მგრძობიარე თემების მოწყვლადობას.

რეკომენდებულია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში (მაგალითად ტერიტორიის გამწვანებაში გამოსაყენებელი ხე-მცენარეების სახეობების შერჩევისას) გათვალისწინებული იყოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასპექტები, აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიასა და მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში წარმოდგენილი არსებული და სამომავლო კლიმატის სცენარების მიხედვით.

5.3 საინჟინრო გეოლოგიური პირობები³

2020 წლის თებერვალში, ქ. ბათუმის ადლიის დასახლებაში, გრ. ლორთქიფანიძის ქუჩა №26 ნაკვეთზე, შპს „სამშენებლო კომპანია სურმანიძეები“-ს მიერ 26-სართულიანი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, დამკვეთისავე მოწვეული ინჟინერ-გეოლოგის ს. მელქონიანის მიერ ჩატარებული იქნა სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა, ადლიის გეოლოგიური ჭრილისა და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესასწავლად ამ მიზნით, პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის კონტურში გაიბურდა 6 ჭაბურღილი, სიღრმით 33მ (თითოეული) და დიამეტრით 131მმ, რისთვისაც გამოყენებული იქნა გერმანული წარმოების თვითმავალი საბურღი დანადგარი G50-U. №3 ჭაბურღილიდან აღებული იქნა ქვიშა-კენჭნარ-ხრემოვანი გრუნტების დაშლილი სტრუქტურის 14 მონოლითი, ლაბორატორიულ პირობებში მათი გრანულომეტრიული შემადგენლობისა (მსხვილნატეხოვანი და ქვიშოვანი გრუნტები) და ფიზიკური მახასიათებლების (თიხები და ალვერიტები) შესასწავლად და ამისთვის საჭირო ანალიზები შესრულებული იქნა

³ პარაგრაფში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ წარსულში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს საპროექტო ტერიტორიის ზოგადი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დახასიათებისთვის. დეტალური საინჟინრო გეოლოგიური კვლევები ჩატარდება პროექტის განხორციელებამდე.

წარმოდგენილი დასკვნის ავტორის მიერ ქ. თბილისის სს „ახალი საქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების წინ უსწრებდა სამშენებლო მოედნისა და მისი უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული სიმაღლეთა აბსოლუტურ ნიშნულებში, მასშტაბით 1:500. ამრიგად, ჭაბურღილთა ნიშნები აღებული იქნა გეოლოგის მიერ უკვე არსებული ტოპოგრაფიიდან. შესრულებულ სამუშაოთა შედეგად მიღებული იქნა შემდეგი ინფორმაცია და საჭირო დასკვნები:

- გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ადგილი მდებარეობს კახაბრის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, I ზღვიური ტერასაზე (იმავდროულად მდ. ჭოროხის I ჭალისზედა ტერასა), მისთვის დამახასიათებელი მეტად მარტივი და სწორი ზედაპირით. ზედაპირის ძალზე მცირედი, თვალთა მხედრად შესამჩნევი საერთო დახრილობა მიმართულია ჩრდილო-დასავლეთით ზღვისაკენ. უშუალოდ სამშენებლო მოედანზე, ზედაპირი, გარედან შემოტანილი გრუნტის ხარჯზე რამდენადმე ამაღლებულია და მისი აბსოლუტური ნიშნულები იცვლება 4.10-4.40 მ-ის ფარგლებში. ზედაპირული ნაკადი სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ საგრძნობლად გაძნელებულია თუმცა ადგილი ატმოსფერული ნალექებით არ იტბორება. მიუხედავად აღნიშნულისა, საპროექტო მშენებლობის I სართულის სათავსოებში ჭარბი ტენიანობის ნაწილობრივ მაინც „შესარბილებლად“, მიზანშეწონილი იქნებოდა მისი იატაკის დონის ამოწევა 4.70-4.80მ-ის ნიშნულამდე
- ადგილის გეოლოგიური ჭრილი (უშუალოდ სამშენებლო მოედნის კონტურზე) 33მ-ის სიღრმემდე აგებულია მეოთხეული ასაკის ალუვიურ-დელუვიური, ზღვიურალუვიური და წმინდა ზღვიური გენეზისის წარმონაქმნებით, რომელთა შორისაც გამოყოფილია ბუნებრივი დალექვის შემდეგი 7 ლითოლოგიური სახესხვაობის შრე:
 - შრე-2 მურა-მოყავისფრო შეფერილობის მწვანე-ლავისტიური ალუვიურ-დელოვიური თიხნარი (პრაქტიკულად – ნიადაგმცენარეული ფენა), სიმძლავრით 0.3-0.5მ, განლაგებულია შესწავლილი ჭრილის სულ ზედა ნაწილზე, უმეტესწილად უშუალოდ ტექნოგენური ფენის ქვეშ და პროექტის თანახმად იგი საძირკველთა საფუძვლიდან მოცილებული იქნება.
 - შრე-3 - მაღალი სიმკვრივის ზღვიურ-ალუვიური კენჭნარი ქვიშა-ხრეშოვანი შემავსებლითა და ერთეული წვრილი კაჭრის ჩანართებით, საერთო სიმძლავრით 6,5-9,7 მ, 2-3 განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ფენების სახით, ვრცელდება ზედაპირიდან 11,1-15,8 მ-ის სიღრმეებამდე და გამოირჩევა ძალზე მაღალი მზიდუნარიანობით. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ლითოლოგიის გრუნტების სიმძლავრის ფართო დიაპაზონში ცვლილება მოკლე მანძილზე, სავსებით ლოგიკურია, რადგანაც ეს ადგილი ახლო წარსულში მდ. ჭოროხი ქვედა წელის დელტის ნაწილი იყო და ასეთ პირობებში დალექილი მდინარეული ალუვიონისათვის აღნიშნული გარემოება სავსებით ბუნებრივია.
 - შრე-4 - საშუალო სიმკვრივის ზღვიურ-ალუვიური გენეზისის ხრეშოვანი გრუნტი 20%-მდე კენჭნარი ფრაქციის შემცველობითა და ძირითადად მსხვილი და ხრეშოვანი ქვიშების შემავსებლით, საერთო სიმძლავრით 0,3-2,1მ, ერთეული ან 2:4 განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ფენების

სახით, ვრცელდება ზედაპირიდან უმეტესწილად 13,5-17,0 მ-ის სიღრმეებამდე და გამოირჩევა მაღალი მზიდუნარიანობით. ასეთივე გრუნტების 0,3-0,7 მ-ის სიმძლავრის თითო ფენა გახსნილია ყველა ჭაბურღილში, გაცილებით უფრო ღრმად, 30,3-31,2 მ-ის სიღრმეებამდე და ესენიც დიდი მზიდუნარიანობისაა.

- შრე-4ა -მაღლე დაბალი სიმკვრივის ალუვიური გენეზისის ხრემოვანი გრუნტი უმეტესწილად მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის რბილპლასტიური თიხნარის შემავსებლით, სიმძლავრით 1,2მ, გახსნილია მხოლოდ #4 ჭაბურღილის სიღრმეთა 5,9-7,1მ-ის ინტერვალში და გამოირჩევა დაბალი მზიდუნარიანობით. ეს გარემოება მხედველობაშია მისაღები და იმისათვის, რომ საფუძველში არათანაბარი ჯდენები თავიდან იქნეს აცილებული სავარაუდოდ საჭირო იქნება მისი მოცილება და ქვაბულიდან ამოღებული კენჭნარი (შრე-3) მასალით შეცვლა (სათანადო მოტკეპნით);
- შრე-5 -საშუალო და მაღალი სიმკვრივის ზღვიური გენეზისის წვრილმარცვლოვანი ქვიშები, ხრემის იშვიათი და ძალზე თხელი (5-15სმ) ლინზებითა და ზღვიური მოლუსკებს ნიჟარების ნამსხვრევებით. საერთო სიმძლავრით 4,1-8,3მ, 2-4 განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ფენების სახით, ვრცელდება ზედაპირიდან 13,5-17,0 სიღრმეებამდე და გამოირჩევა მაღალი მზიდუნარიანობით.
- შრე-6-მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის რბილპლასტიური (ახლოსაა მწვანეპლასტიურთან) თიხები, საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმკვრივის, საერთო გავლილი სიმძლავრით 7,2-8,8 მ, 3-4 განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ფენების სახით, იწყება ზედაპირის მიმართ 17,0-18,8 მ-ის სიღრმეებიდან, ვრცელდება 28,3-30,1მ-ის სიღრმეებამდე გადაშრეებულია უმეტესწილად შრე-7 ალუვირტებით და თითქოსდა უნდა გამოირჩეოდეს დაბალი მზიდუნარიანობით, მაგრამ საქმე აქ რამდენადმე თავისებურია და ამის შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ეს გრუნტები, კერძის სახით ამოღებული, შეხებისას თითქოსდა რბილია და იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ მათი მზიდუნარიანობა დაბალი უნდა იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისინი განლაგებულია უმეტესწილად დიდ სიღრმეებზე და იმყოფება 3კგ/სმ² და უფრო მეტი (სიღრმის მომატების პროპორციულად) მნიშვნელობის ბუნებრივი დაწოლის ქვეშ, ცხადია, მათი რეალური სიმკვრივე და მზიდუნარიანობა მასივში შედარებით უფრო დიდია. ამასთან ერთად, დიდი სიღრმეებიდან კერძის სახით ამოღებული გრუნტი განიცდის დეკომპრესიას და მისი გაიგივება მასივში განლაგებულ გრუნტთან არ შეიძლება. გარდა ამისა, ისივ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ შრე-6-ს ზევიდან და ქვევიდან ესაზღვრება მაღალი მზიდუნარიანობის სხვა ლითოლოგიის ფენები, ანუ იგი მოქცეულია დახურულ გარემოში და მასში ჯდენების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამატებით დაწოლის შედეგად გრუნტიდან გამოდევნილი იქნება წყალი. მაგრამ იმის გამო, რომ ასეთი სახის წვრილდისპერსული სტრუქტურის გრუნტებისთვის დამახასიათებელია წყლის ადვილად შთანქვის უნარი და პირიქით, წყალგაცემის (მნიშვნელოვანი დატვირთვის შედეგადაც კი) პრაქტიკულად

ნულოვანი სიდიდე, მაშინ ნათელი გახდება, რომ შრე-6-ის განვითარებისთვის ფაქტორი არ შეიძლება იყოს. სწორედ აღნიშნულ გარემოებათა გამო შრე-6-ის სიმტკიცისა და დეფორმაციური მახასიათებლები, რომლებიც წარმოდგენილ დასკვნაშია მოყვანილი, მნიშვნელოვნად აღემატება სამშენებლო წესებისა და ნორმების ცხრილებში მოყვანილ მონაცემებს.

- შრე-7- მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის საკმაოდ მაღალი სიმკვრივის თიხნარი-მტვეროვანი და ქვიშნარ-მტვეროვანი ალუვირტები, საერთო გავლილი სიმძლავრით 6,0-11,2მ, 4-7 განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ფენების სახით, ვრცელდება ზედაპირიდან 15,4-16,5მ-ის სიღრმეებზე დაბლა, გრძელდება ჭაბურღილთა სანგრევების ქვევითაც და გამოირჩევა მაღალი მზიდუნარიანობით.

ზედა ტექნოგენური ფენა (შრე-1) აქ უმეტესწილად წარმოდგენილია კენჭნარით. სამშენებლო, სამეურნეო და სხვა სახის ნაგვით, თავისი შემადგენლობით არაერთგვაროვანია და მისი სიმძლავრე 0,3-0,5 მ-ს არ აღემატება.

ამრიგად, ადგილის გეოლოგიური ჭრილი მთლიანობაში საკმაოდ მარტივია და აქ უმეტესწილად დაცულია განსხვავებული ლითოლოგიის შრეთა ურთიერთმონაცვლეობის საერთო წილი, თუმცა იდენტურ შრეთა სიმძლავრეები სამშენებლო მოედნის სხვადასხვა ადგილებში საკმაოდ ცვალებადია.

ჭრილის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობანი მხოლოდ ნაწილობრივ თანახმად СНиП 2.02.01-83 I და III დანართების №1-3 ცხრილებისა და ძირითადად ბათუმის რეგიონში ანალოგიურ გეოლოგიურ პირობებში მაღლივი მშენებლობის მრავალწლიანი პრაქტიკისა შემდეგია:

- შრე - 3 - მაღალი სიმკვრივის ზღვიურ-ალუვიური კენჭნარი ქვიშა-ხრეშოვანი შემავსებლითა და ერთეული წვრილი კაჭრის ჩანართებით. $P_{\#}=2,2\text{გ/სმ}^3$ $C_{\#}=0$ $\Phi_{\#}=450$ $E>800\text{კგ/სმ}^2$ $R>15\text{კგ/სმ}^2$ $K_{\text{საგ}}=8\text{კგ/სმ}^3$;
- შრე - 4 - საშუალო სიმკვრივის ზღვიურ-ალუვიური გენეზისის ხრეშოვანი გრუნტი 20%-მდე კენჭნარი ფრაქციის შემცველობითა და ძირითადად მცხვილი და ხრეშოვანი ქვიშების შემავსებლით. $P_{\#}=1,95\text{გ/სმ}^3$ $C_{\#}=0$ $\Phi_{\#}=420$ $E>600\text{კგ/სმ}^2$ $R>10\text{კგ/სმ}^2$ $K_{\text{საგ}}=6\text{კგ/სმ}^3$;
- შრე - 4ა - ძალზე დაბალი სიმკვრივის ალუვიური გენეზისის ხრეშოვანი გრუნტი უმეტესწილად მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის რბილპლასტიური თიხნარის შემავსებლით. $P_{\#}=1,85\text{გ/სმ}^3$ $C_{\#}=0,07$ $\Phi_{\#}=380$ $E>120\text{კგ/სმ}^2$ $R>2,5\text{კგ/სმ}^2$ $K_{\text{საგ}}=3\text{კგ/სმ}^3$;
- შრე - 5 - საშუალო და მაღალი სიმკვრივის ზღვიური გენეზისის წვრილმარცვლოვანი ქვიშები, ხრეშის იშვიათი და ძალზე თხელი (5-15სმ) ლინზებითა და ზღვიური მოლუსკების ნიჟარების ნამსხვრევებით. $P_{\#}=1,85\text{გ/სმ}^3$ $C_{\#}=0,050$ $\Phi_{\#}=350$ $E>400\text{კგ/სმ}^2$ $R>7\text{კგ/სმ}^2$ $C_{\text{I}}=0,034$ $C_{\text{II}}=0,050$ $\Phi_{\text{I}}=330$ $\Phi_{\text{II}}=350$ $K_{\text{საგ}}=5\text{კგ/სმ}^3$;
- შრე - 6 - მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის რბილპლასტიური თიხები 17,0-18,8 მ-ის სიღრმეზე დაბლა განლაგებული. $P_{\#}=1,85\text{გ/სმ}^3$ $C_{\#}=0,30$ $\Phi_{\#}=130$ $E>140\text{კგ/სმ}^2$ $R>4,0\text{კგ/სმ}^2$ $C_{\text{I}}=0,20$ $C_{\text{II}}=0,30$ $\Phi_{\text{I}}=120$ $\Phi_{\text{II}}=130$ $K_{\text{საგ}}=3\text{კგ/სმ}^3$;

- შრე – 6 - მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის რბილპლასტიური თიხები (#1 ჭაბურღილი) 7.8-8.7 მ-ის სიღრმის ინტერვალში განლაგებული. $P=1,80\text{გ/სმ}^3$ $C=0,25$ $\Phi=110$ $E>100\text{კგ/სმ}^2$ $R=2,2\text{კგ/სმ}^2$ $C_1=0,17$ $C_{II}=0,25$ $\Phi_1=100$ $\Phi_{II}=110$ $K_{საგ}=1,4\text{კგ/სმ}^3$
- შრე – 7 - მუქი-ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის საკმაოდ მაღალი სიმკვრივის თიხნარ-მტვროვანი და ქვიშნარ-მტვროვანი ალევრიტები. $P=1,90\text{გ/სმ}^3$ $C=0,35$ $\Phi=170$ $E>350\text{კგ/სმ}^2$ $R>6\text{კგ/სმ}^2$ $C_1=0,23$ $C_{II}=0,35$ $\Phi_1=160$ $\Phi_{II}=170$ $K_{საგ}=5\text{კგ/სმ}^3$

შენიშვნა: შრე-1 და შრე- 2 მშენებლობის საფუძვლიდან ცალსახად მოსაცილებელია და ამიტომ მათი მახასიათებლები ზემოთ მოყვანილი არ არის

№1 ჭაბურღილის ზონაში, სადაც სიღრმეთა 7.8-8,7მ-ის ინტერვალში გახსნილია რბილპლასტიური თიხოვანი გრუნტი (შრე-6), მიზანშეწონილი იქნებოდა ან მისი მოცილება, ან შეძლებისდაგვარად ფილის ზომების გარეთ გამოტანა შენობის გარე კონტურის მიმართ.

მშენებლობის პროცესში, დაწყებული X სართულიდან, ყოველი შემდგომი სართულის აღმართვის შემდეგ კონტროლის ქვეშ უნდა იქნას აყვანილი შენობის ჯდენები და ეს ანათვლები უნდა გაკეთდეს საძირკვლის ფილის ზედაზე, არანაკლებ 3 წერტილში მაინც.

გრუნტის წყლები გახსნილია ზედაპირიდან 2,7-3,0მ-ის სიღრმეზე (ნიშნული -1,40მ) და რადგანაც ეს დონე დაფიქსირებულია წყლის უხვნალექებიანი სეზონის პირობებში, იგი შეიძლება საანგარიშო დონედაც ჩაითვალოს.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ გრუნტის წყლები მოცემული რეგიონის ფარგლებში ბეტონის კონსტრუქციების მიმართ არააგრესიულია, ხოლო მეტალის (არმატურა) მიმართ იქნეს სუსტად აგრესიულობას და თანაც მხოლოდ მაშის, როცა კონტაქტი ეპიზოდური ხასიათისაა. მშენებლობის ქვაბულის 4მ-ის სიღრმემდე გახსნისას, გრუნტის წყლების თავდაპირველმა ხვედრითმა დებიტმა (დებიტი ქვაბულის ძირის ერთეული ფართიდან-1მ²) შეიძლება შეადგინოს 0,05 ლ/წმ, მაგრამ უწყვეტი ამოტუმბვის პირობებში ეს ციფრი მნიშვნელოვნად მოიკლებს და 0.03-ს არ გადააჭარბებს.

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქისა 7(შვიდი)ბალია. საფუძვლის გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას, გარდა შრე-4ა და შრე-6-სა რომლებიც III კატეგორიისაა. წყალგაჯერებული ქვიშოვანი გრუნტების (შრე-5) III კატეგორიაში გაერთიანება (მიუხედავად ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნისა) საკითხისადმი არასწორი მიდგომა იქნებოდა, რადგანაც ერთის მხრივ მათი სიმკვრივე მაღალია, ხოლო მეორეს მხრივ კი ბათუმის რეგიონში ისეთი ინტენსივობის სეისმურ ბიძგები, რომელთაც შეიძლება გამოიწვიოს თუნდა შედარებით უფრო დაბალი სიმკვრივის ქვიშოვანი გრუნტების ლიქვიფიკაცია (გათხევადება) და შესაბამისად მზიდუნარიაონობის ნაწილობრივ მაინც დაკარგვა, პრაქტიკულად მოსალოდნელი არ არის.

სამშენებლო მოედანი საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით თანახმად СНИП 1.02.07-87-ის მე-10-ე აუცილებელი დანართისა მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

საფუძვლის გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით თანახმად СНИП IV-2-82-ის #1 ცხრილისა მიეკუთვნება: შრე-1 – II კატეგორიას, $P=1.80\text{ტ/მ}^3$ პ. 24(ა); შრე-2-I კატეგორიას, $P=1.70\text{ტ/მ}^3$ პ. 33(ბ); შრე-3-IV კატეგორიას $P=2.20\text{ტ/მ}^3$ პ. 6(გ);

ამრიგად ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები მთლიანობაში ხელსაყრელია პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის თვალსაზრისით, თუმცა გადასაწყვეტია №3 ჭაბურღილის ზონაში სიღრმეთა 7,8-8,7მ-ის ინტერვალში განლაგებული შრე-6 თიხებთან დაკავშირებული პრობლემა, რაზედაც ზემოთ იყო გამახვილებული ყურადღება.

შენიშვნა: სრული საინჟინრო გეოლოგიური კვლევა წარმოდგენილია დანართის სახით

5.4 ბიომრავალფეროვნება

ქ. ბათუმის მწვანე სივრცეები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც პირველ რიგში განპირობებულია სუბტროპიკული კლიმატით.

ქ. ბათუმსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები. გორაკ-ბორცვებზე აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი.

უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია ძირითადად კულტურული ხე-მცენარეულობა, რომელთა ნაწილი პროექტის განხორციელებისას მოჭრას ექვემდებარება, რაც მცენარულ საფარზე პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას გულისხმობს. მოსაჭრელი ინდივიდების სანაცვლოდ განხორციელდება საკომპენსაციო ღონისძიებები, ასევე გდგ-ს კონცეფცია ითვალისწინებს ტერიტორიის გამწვანებას კანონმდებლობით დადგენილი კოეფიციენტის და ნორმების მიხედვით.

საპროექტო ტერიტორიაზე განლაგებულია 248 ძირი ხე-მცენარე, 8სმ ნაკლები 64 ძირი აღმონაცენი, 10 ძირი ვაზი 5 ძირი პალმა 11 ოჯახი თხილი და 115 ძირი ციტრუსი. პროექტის განხორციელებისას მოჭრას ექვემდებარება მიწის ნაკვეთზე არსებული 234 ხე-მცენარე, რჩება 9 ინდივიდი და იგეგმება 5 ძირი პალმის გადარგვა მიმდებარე ტერიტორიაზე.

ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოდგენილი ფაუნადან აღსანიშნავია ორნითოფაუნის მრავალფეროვნება, ვინაიდან ბათუმზე გადამფრენ ფრინველთა ევრაზია-აფრიკის სამიგრაციო მარშრუტი გადის. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ასევე მოქცეულია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი და ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია. მდინარე ჭოროხის დელტა წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს, რომელიც ორნითოფაუნის მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

შავი ზღვის სანაპირო, კერძოდ ბათუმის შემოგარენი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ნაწილი, მტაცებელი ფრინველების მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო და მრავალრიცხოვანი დერეფანია, სადაც ყოველწლიურად 800,000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. საყოველთაოდ ცნობილი „ბათუმის სამიგრაციო ძაბრი“ გიბრალტართან, მესინა-სიცილიასთან და ბოსფორთან ერთად ევროპის ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად მოიხსენიება. ასეთ ადგილებს უდიდესი მნიშვნელობა

აქვს საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგის, ბუნების დაცვითი სამუშაოებისა და სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით.

ბათუმის "მაბრი" საშემოდგომო გადაფრენისას შემდეგნაირად იქმნება: მას შემდეგ, რაც მტაცებლები გადმოლახავენ დიდი კავკასიონის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებს (ამ დროს მათი სამიგრაციო გზები ძირითადად დაბალ უღელტეხილებზე გადის), ეშვებიან კოლხეთის დაბლობზე, ენერჯის დაზოგვის მიზნით ერიდებიან შავი ზღვის ზედაპირს, ლიხის (სურამის) და მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედებს, ამის შედეგად ძალაუნებურად მათი უმეტესი ნაწილი თავს იყრის ბათუმის მიდამოებში, შემდეგ გადაკვეთენ საქართველო-თურქეთის საზღვარს და თანდათან ისევ დაცილდებიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ მტაცებლების დიდი რაოდენობა დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილსაც გადმოლახავს, აღმოსავლეთ საქართველოში წყლის ფართო ზედაპირის არარსებობისა და უფრო მოზაიკური მთა-გორიანი ლანდშაფტის გამო გადაფრენა რამდენიმე გზით მიმდინარეობს და ამიტომ ამ ადგილებში ისეთი დიდი მასშტაბის "მაბრი" არ იქმნება, როგორც ბათუმთან.

ილუსტრაცია 5.1. საქართველოში არსებული ფრინველთა მიგრაციის მთავარი მარშრუტები



წყარო: <https://nationalgeographic.ge/story/migracia-javakhetshi/>


5.5 დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 10.7 კმ-ში (პირდაპირი მანძილი) მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს.

ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ასევე ვხვდებით საერთაშორისო მნიშვნელობის ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ უბანს - ჭოროხის დელტას GE0000054⁴ (1.7 კმ-ში საპროექტო ტერიტორიიდან).


ბათუმის ტერიტორიაზე ასევე წარმოდგენილია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორია დასახელებით „ბათუმი GE014“. ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები არის საერთაშორისო კონსერვაციული მნიშვნელობისა და სტატუსის მქონე ტერიტორიები, როგორც გლობალურ, ასევე რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე. გეგმარებითი ერთეული მოქცეულია აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში. გეგმარებითი ერთეულის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1.4 კმ. მანძილში წარმოდგენილია ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია ბათუმი (SPA 16 Batumi), ხოლო დასავლეთით 1.8 კმ. მანძილში - ჭოროხის დელტა (SPA 15 Chorokhi Delta)

ილუსტრაცია 5.2. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმართ




⁴ ზურმუხტის ქსელის მიღებული საიტი „ჭოროხის დელტა“-ს მახასიათებლები სტანდარტული ფორმის მიხედვით შემდეგია:სარეგისტრაციო კოდი - GE0000054; ფართობი - 2,232.34 ჰა; გრძედი - 41.566000; განედი - 41.600000; ბიოგეოგრაფიული რეგიონი - შავი ზღვის (100.0%).

ილუსტრაცია 5.3. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა ზურმუხტის ქსელის საიტის მიმართ



ილუსტრაცია 5.4. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა ფრინველთა მნიშვნელოვანი ტერიტორიისა და ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიის მიმართ



5.6 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები


გეგმარებითი ერთეული არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზონებში. აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები. გეგმარებითი ერთეულიდან უახლოეს მანძილში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი ლუდისა და ხილეული წყლების ქარხანაა (ს/ნ: 7533), რომელიც გეგმარებითი ერთეულიდან 1360 მ. მანძილში მდებარეობს.












5.7 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი

ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფილის წარმოებები, ასეთი შესაძლოა იყოს: მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა, საწვავის შენახვა/რეალიზაცია და სხვა. მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონახლოქვი.

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამბინძურებელი ნივთიერებებია: მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, მანგანუმის ორჟანგი, ბენზ(ა)პირენი, სუსტად ხსნადი ფტორიდები, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, გოგირდის ორჟანგი და სხვა.

ილუსტრაცია 5.5. ქალაქ ბათუმში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რუკა - map.emoe.gov.ge




-  სათბობის მრეწველობა და ენერჯეტიკა
-  მეტალურგიული წარმოება და ლითონთა დამუშავება
-  მინერალური მრეწველობა
-  ტექსტილური, საშიში ნივთიერებების და ნარჩენების მართვა
-  ქიმიური მრეწველობა
-  ქაღალდის წარმოება, ხის დამუშავება
-  საკვები პროდუქტების წარმოება
-  სოფლის მეურნეობა
-  საწვავის შენახვა, რეალიზაცია
-  სხვა
-  მრავალპროფილური


ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მონიტორინგს გარემოს ეროვნული სააგენტო აწარმოებს. 2021 წლის ოფიციალური მონაცემებით, ქ. ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებდა აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებულ ავტომატურ სადგურზე. ისაზღვრებოდა ატმოსფერული ჰაერის შემდეგი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: გოგირდისა (SO₂) და აზოტის (NO₂) დიოქსიდები, ოზონი (O₃), მყარი ნაწილაკები (PM₁₀ და PM_{2.5}), ნახშირბადის მონოქსიდი (CO). ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2020 წელს ქალაქ ბათუმში ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგების შესახებ:

- გოგირდის დიოქსიდის (SO₂) 1-საათიანი და 24-საათიანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს.
- მყარი ნაწილაკების (PM₁₀) საშუალო წლიური კონცენტრაცია (27 მკგ/მ³) არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას; ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას არ აღემატებოდა ასევე საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების საშუალო თვიური მნიშვნელობები. PM₁₀-ის 24-სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები წლის განმავლობაში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას 24 შემთხვევაში, აქედან 12 შემთხვევა გამოწვეული იყო სინოპტიკური პროცესით - საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული უდაბნოს (საჰარის, არაბეთის ნახევარკუნძულისა და შუა აზიის უდაბნოები) მტვრის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით;
- მყარი ნაწილაკების (PM_{2.5}) საშუალო წლიური კონცენტრაცია (14 მკგ/მ³) არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას;
- აზოტის დიოქსიდის (NO₂) საშუალო წლიური კონცენტრაცია (64 მკგ/მ³) აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.6-ჯერ, ხოლო 1 სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ კონცენტრაციას მთელი წლის განმავლობაში;
- აზოტის დიოქსიდის (NO₂) საშუალო წლიური კონცენტრაცია (48 მკგ/მ³) აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.2-ჯერ, ხოლო 1 სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ კონცენტრაციას მთელი წლის განმავლობაში;
- ნახშირბადის მონოქსიდის (CO) დღეში 8 სთ-იანი გასაშუალების კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას მთელი წლის განმავლობაში;
- ოზონის (O₃) მაქსიმალური დღიური რვა საათიანი საშუალო კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს მთელი წლის განმავლობაში.

გრაფიკი 5.1. მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების საშუალო თვიური მნიშვნელობები



გრაფიკი 5.2. მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების გადაჭარბების დღეების რაოდენობა




ცხრილი 5.21. ავტომატურ სადგურზე PM10, PM2.5 და NO2 გაზომვის შედეგები

ქალაქი	სადგურის ლოკაცია	PM10 (მკგ/მ³)	PM2.5 (მკგ/მ³)	NO2 (მკგ/მ³)
ბათუმი	აბუსერიძის ქუჩა, №1	27	14	64

კონცენტრაციის მნიშვნელობა	ზღვრული	40	20	40
---------------------------	---------	----	----	----

ჰაერის დაბინძურების ბოლო 365 დღის მონაცემები ყველა დაბინძურებლისთვის⁵, 2023 წლის 17 მაისის მდგომარეობით



ცხრილი 5.22. გარემოს ეროვნული სააგენტოს სადგური მონაცემები 2023 წლის ივლისის თვე. (NO₂, SO₂, PM_{2.5}, PM₁₀, O₃-მკგ/მ³; CO-მგ/მ³)

ბათუმი, აბუსერიძე, BTUM 2023-07						
დამბინძურებელი	NO ₂	SO ₂	PM _{2.5}	PM ₁₀	O ₃	CO
01	*	0.62	*	*	*	0.71
02	*	0.45	*	*	*	0.61
03	*	1.04	*	*	*	0.69
04	*	0.68	*	*	*	0.82
05	*	0.28	*	*	*	0.55
06	20.58	0.75	*	*	35.46	0.50

⁵ ყველა დაბინძურებელი, რომელთა გაზომვაც ავტომატურ სადგურზე ხორციელდება

07	23.35	0.22	*	*	31.88	0.45
08	24.00	0.34	*	*	34.29	0.47
09	30.13	0.50	*	*	36.74	0.59
10	26.58	0.23	*	*	39.08	0.56
11	23.24	0.40	*	*	40.61	0.47
12	27.26	0.52	*	*	41.35	0.53
13	34.59	0.37	*	*	38.52	0.58
14	29.23	0.78	*	*	46.14	0.62
15	28.79	0.36	*	*	44.43	0.48
16	26.08	0.19	*	*	41.59	0.47
17	27.25	0.27	*	*	42.70	0.49
18	24.70	0.27	*	*	46.70	0.47
19	25.82	0.50	*	*	41.24	0.47
20	28.02	0.57	*	*	38.88	0.55
21	24.08	0.46	*	*	37.28	0.50
22	21.63	0.32	*	*	38.72	0.47
23	21.11	0.33	*	*	34.71	0.44
24	25.20	0.62	*	*	31.05	0.54
25	24.42	0.49	*	*	40.09	0.54
26	25.29	0.39	*	*	39.99	0.52
27	32.71	1.04	*	*	33.99	0.71
28	29.48	0.56	*	*	39.64	0.76
29	22.35	0.27	*	*	37.38	0.55
30	23.93	0.29	*	*	38.30	0.49
31	23.58	0.34	*	*	42.49	0.49

ცხრილი 5.23. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობები

მავნე ნივთიერება	ზღვრული მნიშვნელობა	ტოლერანტობის ზღვარი	გასაშუალოების პერიოდი	დასაშვები გადაჭარბების რაოდენობა წლის მანძილზე
გოგირდის დიოქსიდი (SO ₂)	350 მკგ/მ ³	150 მკგ/მ ³ (43%)	1 სთ	24
	125 მკგ/მ ³		24 სთ	3
	200 მკგ/მ ³	50% ⁽¹⁾	1 სთ	18

აზოტის დიოქსიდი (NO ₂)	40 მკგ/მ ³	50% ⁽¹⁾	1 წელი	0
მყარი ნაწილაკები (PM ₁₀)	50 მკგ/მ ³	50%	24 სთ	35
	40 მკგ/მ ³	20%	1 წელი	0
მყარი ნაწილაკები (PM _{2.5})	25 მკგ/მ ³	20% ⁽¹⁾	1 წელი	0
ნახშირბადის მონოქსიდი (CO)	10 მგ/მ ³	60%	8 სთ	0
ოზონი (O ₃)	120 მკგ/მ ³	100%	დღეში მაქსიმალური საშუალო 8 საათი ⁽²⁾	25 (3 წლის გასაშუალოების პერიოდში) ⁽³⁾

შენიშვნა (1) ყოველი 12 თვის შემდეგ მცირდება თანაბარწილად 0%-მდე 2025 წლის 1 იანვრისთვის.

(2) მაქსიმალური დღიური რეგსაათიანი საშუალო კონცენტრაცია შეირჩევა მცოცავი რეგსაათიანი საშუალო მონაცემების ანალიზით. რეგსაათიანი საშუალო მონაცემი იანგარიშება საათური მონაცემების გასაშუალოების საფუძველზე და საათობრივად ახლდება. ასე გამოანგარიშებული თითოეული რეგსაათიანი საშუალო მონაცემი მიეკუთვნება იმ დღეს, რომელშიც ხვდება გასაშუალოების პერიოდის ბოლო საათი. მაგალითად, პირველი გამოსათვლელი გასაშუალოების პერიოდი ნებისმიერი დღისთვის იქნება წინა დღის 17.00 სთ-დან ამ დღის 01.00 სთ-ის ჩათვლით, ხოლო დასკვნითი გამოსათვლელი გასაშუალოების პერიოდი ნებისმიერი დღისთვის იქნება ამ დღის 16.00 სთ-დან ამავე დღის 24.00 სთ-ის ჩათვლით.

(3) თუ სამი წლის საშუალო მაჩვენებელი ვერ განისაზღვრება მთლიანი და თანმიმდევრული წლიური მონაცემების საფუძველზე, მინიმალური მონაცემები მიზნობრივ ზღვართან შესაბამისობის დადგენის შემოწმების მიზნით იქნება ერთი წლის სანდო მონაცემები.

გეგმარებითი ერთეულის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს. აქ არსებულ საავტომობილო გზებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა და ხმაურით დაბინძურების თვალსაზრისით.

ინდიკატორული გაზომვების შედეგები

2021 წელს ქ. ბათუმში ჩატარდა 40 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის ცხრა წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 20, ოზონის - 8 გაზომვა და ბენზოლის - 12. აზოტის დიოქსიდის ინდექსი 5 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 6 შემთხვევაში - კარგი და 9 შემთხვევაში - საშუალო. ოზონის ინდექსი 7 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი და ერთ შემთხვევაში - კარგი. ბენზოლის ინდექსი 4 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 5 შემთხვევაში - კარგი, 2 შემთხვევაში - საშუალო და ერთ შემთხვევაში - ძალიან ცუდი.

2021 წელს ქალაქ ბათუმში ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემებით აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაციის ნორმაზე გადაჭარბება ხუთ წერტილში გაზომვიდან დაფიქსირდა ორ ლოკაციაზე: გორგილამის ქ. 59, „თიბისი“ ბანკთან - (51.26 მკგ/მ3) აღმატებოდა კონცენტრაციის ზღვრულ მნიშვნელობას 1.3-ჯერ, ხოლო ლუკა ასათიანის ქუჩაზე - (62.99 მკგ/მ3) 1.6-ჯერ; მიღებული შედეგების მიხედვით ბენზოლის საშუალო წლიური კონცენტრაციის ნორმაზე გადაჭარბება სამ წერტილში გაზომვიდან დაფიქსირდა მხოლოდ ერთ ლოკაციაზე - ლუკა ასათიანის ქუჩაზე - 6.8 მკგ/მ3 (1.4 ზდკ).

ამასთანავე ხდებოდა ასპირატორის საშუალებით სინჯების აღება მათში ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით. შესაბამისად, 2021 წელს ქალაქ ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის საშუალო წლიური კონცენტრაცია არ აღემატებოდა ზღვრულ ნორმას..

ცხრილი 5.24. ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ბათუმში

მისამართი ეტაპები	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ3				ოზონი, მკგ/მ3				ბენზოლი, მკგ/მ3			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
მარჯანიშვილის მუზეუმთან	37.87	25.59	26.86	38.61								
სასტუმრო "ლეონ"-თან	41.64	23.58	24.57	33.70								
წმ. დავით აღმაშენებლის ეკლესიასთან	29.50	18.59	17.61	27.80					2.2	1.7	0.8	2.0
გორგილაძის ქ. N59, "თიბისი" ბანკთან	52.77	45.04	52.74	54.50								
ლუკა ასათიანის ქ.	69.97	65.84	62.03	54.10					5.8	3.0	1.8	4.6
ბაქრაძის ქ. N28, ტერმინალის მიმდებარედ									14.0	4.4	3.8	5.1
ბათუმის ბულვარი					69.46	57.80	56.54	24.95				
ახალ ბულვართან						82.23	61.70					
ბაგრატიონის შესახვევი						41.76	38.68					

მიწისბარა ოზონი (O₃)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
მკგ/მ3	0-39	40-79	80-120	121-147	148-174	175-200	201-234	235-267	268-300	301+

აზოტის დიოქსიდი (NO₂)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
მკგ/მ3	0-13	14-26	27-40	41-54	55-67	68-80	81-93	94-106	107-120	121+

ბენზოლი (C₆H₆)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
მკგ/მ3	0-1,6	1,7-3,3	3,4-5	5,1-5,6	5,7-6,3	6,4-7	7,1-8	8,1-9	9,1-10	10+

გოგირდის დიოქსიდი (SO₂)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
მკგ/მ3	0-41	42-83	84-125	126-166	167-207	208-250	251-333	334-417	418-500	500+

საპროექტო ტერიტორიის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს (ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთერთი მთავარი წყარო ავტოტრანსპორტია).

6 სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე

ცხრილი 6.1. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ატმოსფერული ჰაერის ხარისხი 	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელია ატმოსფერულ ხარისხზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება.</p> <p>კერძოდ არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟისა და საპროექტო კომპლექსის მოწყობისას მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების, წვის პროდუქტების, შედეგების აეროზოლების და დამბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევა.</p>	<p>დაბალი ხარისხის ზემოქმედება - მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში</p>	<p>ხანმოკლე - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელია დემონტაჟისა და საპროექტო შენობის მოწყობის პერიოდში, რომელსაც დროებითი ხასიათი ექნება (მაქსიმალური პერიოდი 3 წელი)</p>	<p>არა</p>	<p>საერთო ჯამში სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მცირედი გაუარესება ლოკალური მასშტაბით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გეგმარებითი ერთეულის სიახლოვეს მცხოვრებ და სამშენებლო სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალზე.</p> <p>ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ცვლილება ძირითადად მოსალოდნელია მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მოწყობის პერიოდში (დაახლოებით 3 წელი)</p>				
<ul style="list-style-type: none"> წყლის გარემო 	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელია ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება.</p>	<p>საშუალო ხარისხის - გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია მენობის სამირკვლის</p>	<p>ხანმოკლე - ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები არსებობს პროექტის</p>	<p>არა</p>	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას წყლის გარემოზე გარდაუვალი უარყოფითი შედეგები</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>გეგმარებითი ერთეულის მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიხედვით ტერიტორიაზე გრუნტის წყლების შემოდენა ფიქსირდება 2.7 მ. სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ობიექტის მოწყობის სამუშაოები ითვალისწინებს გრუნტის სამუშაოებსაც (შენობის საძირკვლის მოწყობა), რაც გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებთან იქნება დაკავშირებული⁶.</p> <p>საპროექტო ნაკვეთებს ჩრდილოეთ მხრიდან ესაზღვრება მდინარე მეჯინისწყალი, რაც პროექტის განხორციელებისას მდინარის</p>	<p>მოწყობის პერიოდში, ხოლო მდინარე მეჯინისწყლის დაბინძურება მდინარეს სიახლოვეს წარმართული სამუშაოების შემთხვევაში</p>	<p>სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე (ხანგრძლივობა 3 წელი)</p>		<p>არ ექნება. უარყოფითი შედეგები მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში, რომელიც ლოკალური მნიშვნელობის იქნება და წყლის გარემოს დაბინძურების შემთხვევაში შესაძლებელია დაექვემდებაროს ლოკალიზებას</p>

⁶ საკანალიზაციო წყლების მართვა მოხდება ბათუმის წყალმომარაგების სამსახურთან შეთანხმებით, რომელს ხელშეკრულებაც დაიდება კონკრეტულ პერიოდში.

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, მაღალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	წყლის ხარისხზე უარყოფით ზემოქმედებასთან შესაძლოა იყოს დაკავშირებული. ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება შესაძლოა ასევე დაკავშირებული იყოს ტექნიკის მუშაობასთან, ნარჩენების არასათანადო მართვასთან და ავარიულ დაღვრებთან.				
• საზღვაო აკვატორია	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით საზღვაო აკვატორიაზე ზემოქმედების რისკები მინიმალურია	-	-	-	-
• ნიადაგი და გრუნტი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელია ნიადაგსა და გრუნტზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება . პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება	საშუალო ხარისხის - ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება მოსალოდნელია მიწის სამუშაოების წარმოების	ხანმოკლე - ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედების რისკები ძირითადად მოსალოდნელია	დიახ - სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედება გარდაუვალია	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად ადგილი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ფართობების

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>დაკავშირებული იქნება გეგმარებით ერთეულზე ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის საჭირო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოებთან. შენობების სამირკვლების, საპარკინგე სივრცის და სხვ. მოწყობისას განსახორციელებელი იქნება მიწის სამუშაოები. ტერიტორიებიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგი და გრუნტი, რაც პირდაპირ ზემოქმედებას გულისხმობს.</p> <p>ნიადაგზე და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება ასევე მოსალოდნელია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პერიოდში ნარჩენებით დაბინძურებასთან, ავარიულ დაღვრასთან და არასწორად წარმართულ სამუშაოებთან.</p>	<p>პერიოდში, რაც სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემული ინფრასტრუქტურის მოწყობის საწყის ეტაპზეა მოსალოდნელი.</p>	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების საწყის ეტაპზე, მიწის სამუშაოების წარმოებისას</p>		<p>შემცირებას, თუმცა მხოლოდ ლოკალური მასშტაბით. პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დიდი ფართობების დაკარგვას და/ან დეგრადირებას. პირდაპირ ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნაყოფიერი ფენის გარემოსდაცვითი კანონმდებლობით მოთხოვნილი პირობების მიხედვით მართვის შემთხვევაში მოსალოდნელი ზემოქმედების რისკები კიდევ უფრო შემცირდება</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემდეგ ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედებას განგრძობითი ხასიათი არ ექნება.</p> <p>ამასთან აღსანიშნავია, რომ გეგმარებით ერთეულზე ამჟამად არსებობს გარკვეული სახის ინფრასტრუქტურა, რომელთა მოწყობის პერიოდში ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედებას ადგილი უკვე ჰქონდა, თუმცა საპროექტო ტერიტორიის მთლიან ფართობთან შეფარდებით ეს ტერიტორია მცირე ფართობს მოიცავს</p>				
<ul style="list-style-type: none"> მცენარეული საფარი 	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელია მცენარეულ საფარზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება.</p>	<p>საშუალო ხარისხის</p>	<p>ხანგრძლივი</p>	<p>დიახ</p>	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად შემცირდება ხე-მცენარეების საერთო რაოდენობა.</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>გეგმარებით ერთეულზე წარმოდგენილია სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეები, რომელთა ნაწილის მოჭრა აუცილებელი იქნება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას.</p> <p>საერთო ჯამში მოსაჭრელი იქნება გეგმარებით ერთეულზე არსებული 234 ძირი ხე-მცენარე.</p> <p>ხელუხლებელი დარჩება 9 ძირი, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე გადაირგვება 5 ძირი პალმა.</p> <p>მოსაჭრელი სახეობებიდან არცერთი არ წარმოადგენს წითელი ნუსხის სახეობას. დეტალური ინფორმაცია გეგმარებით ერთეულზე არსებული ხე-მცენარეების შესახებ წარმოდგენილია დანართში 4.</p>				<p>თუმცა მოსაჭრელი ხე-მცენარეების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით მწვანე საფარზე ზემოქმედების მასშტაბი იქნება ლოკალური.</p> <p>ზემოქმედების შერბილებისთვის სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას ტერიტორიაზე მოეწყობა შესაბამისი გამწვანება</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული დოკუმენტი კანონმდებლობის შესაბამისად ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიის გამწვანებას.				
<ul style="list-style-type: none"> ცხოველთა სამყარო 	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას ცხოველთა სამყაროზე მოსალოდნელია როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება.</p> <p>გეგმარებითი ერთეული მოქცეულია ქალაქ ბათუმის ურბანულ ნაწილში, რომელიც სხვადასხვა სახეობის მსხვილი და მცირე ძუძუმწოვრებისთვის არახელსაყრელ საბინადრო გარემოს წარმოადგენს, შესაბამისად სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება</p>	დაბალი ხარისხის	როგორც ხანმოკლე ასევე ხანგრძლივი - ხანმოკლე ზემოქმედება მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესებთან, ხოლო ხანგრძლივი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება კომპლექსის ოპერირებასთან და ფრინველებზე ზემოქმედების საკითხებთან	დიახ	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მხედველობაში იქნება მისაღები ორნითოფაუნაზე ზემოქმედების საკითხები, რომელსაც ხანგრძლივი ხასიათი შეიძლება გააჩნდეს

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>ძუძუმწოვრებზე უარყოფით გავლენას არ იქონიებს.</p> <p>პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია ორნითოფაუნაზე, რადგან სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემდეგ გაჩნდება მრავალსართულიანი კომპლექსი.</p> <p>მრავალსართულიანი კომპლექსების ფრინველებზე ზემოქმედების ერთერთ ფაქტორს წარმოადგენს, ხშირია ფრინველების მხრიდან შეჯახების და დაზიანების/სიკვდილიანობის შემთხვევები. რისკები იზრდება მაშინ, როდესაც შენობების ფასადი მოპირკეთებულია შუშის მასალით.</p>		ხანგრძლივი პერიოდით.		

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება ასევე შესაძლებელია გამოწვეული იყოს ხმაურის დონის მომატებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ გეგმარებით ერთეულში გავრცელებული სახეობები შეგუებულები არიან ურბანულ გარემოს და არსებულ ხმაურის ფონურ დონეს, რადგან ტერიტორია წარმოადგენს ქალაქ ბათუმის ურბანული ქსოვილის ნაწილს.				
<ul style="list-style-type: none"> წყლის ბიომრავალფეროვნება 	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად წყლის ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება მინიმალურია	-	-	-	-
<ul style="list-style-type: none"> დაცული ტერიტორიები 	გეგმარებითი ერთეულიდან მანძილის გათვალისწინებით	-	-	-	-

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არაა				
<ul style="list-style-type: none"> სატყეო ტერიტორიები 	გეგმარებითი ერთეული არაა განთავსებული სატყეო ტერიტორიების ფარგლებში ან მის სიახლოვეს, შესაბამისად სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება სატყეო ტერიტორიებზე ზემოქმედებას არ იქონიებს	-	-	-	-
<ul style="list-style-type: none"> სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები 	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება . საპროექტო ნაკვეთები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	დაბალი	ხანგრძლივი	დიახ	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად შემცირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საერთო ფართობი, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	მიწებს, რომლებიც ამავე დანიშნულებით გამოიყენება. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში საჭირო იქნება არსებული სტატუსის შეცვლა და ნაკვეთების სამშენებლოდ განაშენიანების დანიშნულებით გამოყენება, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწებზე პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას გულისხმობს				ფართობები არ მოიცავს დიდ ტერიტორიას და ზემოქმედების მასშტაბი იქნება ლოკალური ხასიათის
<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების მართვა⁷ 	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელია ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული უარყოფითი პირდაპირი ზემოქმედება. გეგმარებით ერთეულზე არსებული	დაბალი ხარისხის	ხანმოკლე	შექცევადი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად ადგილი ექნება სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას, თუმცა წარმოქმნილი

⁷ დეტალური ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მოცემულია დანართში 1.

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>ინფრასტრუქტურის დემონტაჟისა და სავროექტო კომპლექსის მოწყობის პერიოდში მოსალოდნელია სხვადასხვა რაოდენობის, როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენების არასათანადო მართვის შემთხვევაში არსებობს, როგორც ბუნებრივ გარემოს კომპონენტებზე, ასევე ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები.</p> <p>განსაკურებით საყურადღებოა თხევადი სახიფათო ნარჩენების და მათი მართვის საკითხები.</p>				<p>ნარჩენების რაოდენობა არ გამოიწვევს ქალაქ ბათუმში წარმოქმნილი ნარჩენების საერთო სურათის შეცვლას. ასევე არაა მოსალოდნელი ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული მასშტაბური დაბინძურების რისკები. დაბინძურების რისკები უფრო ლოკალურ ხასიათს ატარებს, რომელთა პრევენცია/აღმოფხვრა შესაძლებელია სათანადო გარემოსდაცვითი სტანდარტების და</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
					შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით.
<ul style="list-style-type: none"> ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემო 	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება დაკავშირებული იქნება ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებებთან, რაც ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას გულისხმობს.</p> <p>ქალაქ ბათუმის იმ ნაწილში, სადაც სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება დაგეგმილი, ჭარბობს სასოფლო ტიპის, შედარებით დაბალი სიმაღლის საცხოვრებლები. სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემული კომპლექსის მოწყობა შეცვლის არსებულ</p>	დაბალი	ხანგრძლივი	დიახ	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად შეიცვლება არსებული ვიზუალური გარემო, რომლის მასშტაბი დამოკიდებულია კომპლექსის ადგილმდებარეობაზე და არქიტექტურულ დიზაინზე. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ბათუმში არაერთი მრავალსართულიანი შენობა არსებობს და მიმდინარეობს მშენებლობას, რაც გულისხმობს, რომ ქალაქის ვიზუალური</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოს.				გარემო უკვე სახეცვლილია და წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით ვიზუალურ ლანდშაფტურ გარემოზე მასშტაბურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება
<ul style="list-style-type: none"> გეოდინამიკური პროცესები 	<p>გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების თვალსაზრისით გეგმარებითი ერთეული დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება და რაიმე სახის პროცესების გააქტიურება მოსალოდნელი არაა.</p> <p>აღნიშული საკითხი კიდევ ერთხელ იქნება მხედველობაში მიღებული</p>	-	-	-	-

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	საცხოვრებელი კომპლექსის დეტალური პროექტირებისას				
<ul style="list-style-type: none"> კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიური ძეგლები 	<p>გეგმარებითი ერთეული არაა მოქცეული უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ფიზიკურ და ვიზუალურ დაცვის არეალებში, შესაბამისად სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზემოქმედებას არ იქონიებს.</p> <p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას ასევე არაა მოსალოდნელი ზემოქმედება არქეოლოგიურ ძეგლებზე, რადგან გეგმარებით ერთეულში ამჟამად განთავსებულია საცხოვრებელი ინფრასტრუქტურა და ტერიტორია გამოიყენება</p>	-	-	-	-

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. შესაბამისად, არქეოლოგიური ძეგლების ქვიანი აღმოჩენის რისკები მინიმალურია				
<ul style="list-style-type: none"> ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება 	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. სიმძლავრე დამცავი აღჭურვილობის გარეშე მუშაობამ, ტექნიკა-დანადგარების არასწორმა მართვამ, უსაფრთხოების პირობების დარღვევამ, მძიმე სამუშაოებმა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე</p>	დაბალი	ხანმოკლე	არა	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად შესაძლოა დაზიანდეს ადამიანის ჯანმრთელობა, თუმცა უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით მსგავსი შედეგების დაგომის ალბათობა მინიმალურია. ამასთან ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან და უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (მალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>მუშაობამ და სხვ. შესაძლებელია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა.</p> <p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება ასევე შესაძლოა უკავშირდებოდეს გეგმარებით ერთეულის სიახლოვეს მცხოვრები და გეგმარებით ტერიტორიასთან მოხვედრილი ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანებას.</p> <p>რისკები მოსალოდნელია კომპლექსის მოწყობის პერიოდში უსაფრთხოების ნორმები უგულვებელყოფისას.</p> <p>ადამიანებზე პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მძიმე შედეგებითაც დამთავრდეს.</p>				საკითხები გასათვალისწინებელი იქნება მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას.

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
<ul style="list-style-type: none"> სოციალური-ეკონომიკური გარემო 	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება მეტწილად პირდაპირ ზეგავლენას იქონიებს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. ზემოქმედება იქნება, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი.</p> <p>უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება გარემოს კომპონენტების დაზიანებულობასთან, რამაც შესაძლოა თავის მხრივ უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადამიანის სოციალურ პირობებზე.</p>	დაბალი	ხანმოკლე უარყოფითი ხანგრძლივი დადებითი	როგორც შექცევადი, ასევე შეუქცევადი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების მცირე გაუარესება, ასევე მოსალოდნელია სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება

ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედება გულისხმობს ისეთ ზემოქმედებას, რომელიც გამომდინარეობს თანმიმდევრული, მზარდი, ან/და კომბინირებული ქმედებების, პროექტის, პროგრამის ან საქმიანობის შედეგად (ერთობლივად „ქმედებები“) რომლებიც ემატება სხვა არსებულ, დაგეგმილ, ან/და გონივრულად მოსალოდნელ სამომავლო ქმედებებს.

ქალაქ ბათუმში ამჟამად არაერთი სამშენებლო პროექტის განხორციელება მიმდინარეობს და ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება კუმულაციურ ზემოქმედება იქონიებს სხვა მსგავსი პროექტების ერთობლივად განხორციელების პერიოდში. კერძოდ, კუმულაციური ზემოქმედების ჭრილში მოსალოდნელია:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების გაფრქვევა;
- გრუნტის და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დეგრადაცია/დაზინძურება;
- მცენარეული საფარის შემცირება;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესება;
- წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის ზრდა;
- ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებული რისკები;

სხვა მსგავსი პროექტების ერთობლივად განხორციელებისას, ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებებით და ხმაურის გავრცელებით კუმულაციური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკა-დანადგარების მუშაობასთან რა დროსაც მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების გაფრქვევა (რკინის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, ქვარტლი, გოგირდის დიოქსიდი ნახშირბადის ოქსიდი, შეწონილი ნაწილაკები და სხვა). სამუშაოების განხორციელებისას ასევე მოიმატებს ხმაურის დონე. ეს ყველაფერი გავლენას იქონიებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფონური მდგომარეობაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ კუმულაციური ზემოქმედება არ ექნება მუდმივი ხასიათი და დამოკიდებული იქნება სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობასთან, ამ შემთხვევაში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია 3 წლის განმავლობაში.

კუმულაციური ზემოქმედების განხილვისას მხედველობაში ასევე უნდა იქნეს მიღებული ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედების საკითხები. გეგმარებითი ერთეულის და სხვა სამშენებლოდ განკუთვნილი ტერიტორიების განაშენიანება გამოიწვევს გარდაუვალ ზემოქმედებას ნიადაგის ნაყოფიერი ფენაზე, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, სადაც ინფრასტრუქტურის მოწყობაა დაგეგმილი. საპროექტო ტერიტორიიდან საორიენტაციოდ საერთო ჯამში მოსახსნელი იქნება დაახლოებით 7000 მ² ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და 37500 მ² გრუნტი. მოცემულ ტერიტორიების განაშენიანება გულისხმობს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შედარებით მეტ ფართობს და მასზე უარყოფითი ზემოქმედების მომატებულ რისკებს. ტერიტორიებიდან მოხსნილი ნიადაგის

ნაყოფიერი ფენის არამიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე. კუმულაციური უარყოფითი ზემოქმედება ასევე მოსალოდნელია მისი ნარჩენებით დაბინძურებით და არასწორად წარმართული სამუშაოებით. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გეგმარებითი ერთეულიდან მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დროებით დასაწყობდება ტერიტორიაზე და ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის განხორციელებისას-ტერიტორიების რეკულტივაციისთვის.

წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტის და სხვა მსგავსი პროექტების განხორციელება დაკავშირებული იქნება სხვადასხვა ტიპისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნასთან. სამშენებლო სამუშაოების პარალელურად განხორციელების შემთხვევაში ჯამურად მეტი ნარჩენი წარმოიქმნება, რაც ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედების რისკებსაც ზრდის და მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება.

მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ჩამდინარე წყლების წარმოქმნა და ავარიული სიტუაციების რისკები, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ტერიტორიის ჩრდილოეთით გაედინება მდინარე მეჯინისწყალი და გეგმარებით ერთეულზე (ასევე ზოგადად ქალაქ ბათუმში) გრუნტის წყლები მიწის ზედაპირიდან ახლოსაა წარმოდგენილი, არსებობს ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები. განსაკუთრებით საყურადღებო ინფრასტრუქტურის მოწყობის ეტაპია, რადგან ამ პერიოდში ადგილი ექნება სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას, რომელთა არასათანადო მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია წყლის გარემოს დაბინძურება. აღსანიშნავია, რომ ქალაქი ბათუმი დაქსელილია შესაბამისი სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელებით, შესაბამისად გეგმარებითი ობიექტი აღჭურვილი იქნება სათანადო ინფრასტრუქტურით და ექსპლუატაციის ეტაპზე ექნება შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურა (სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელები). წინამდებარე და მსგავსი ობიექტების ფუნქციონირებისას წყლის გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები უმნიშვნელო იქნება, რადგან წარმოქმნილი საკანალიზაციო და სანიაღვრე წყლების მართვა განხორციელდება აღნიშნული ინფრასტრუქტურით.

გეგმარებითი ობიექტებზე წარმოდგენილია მცენარეული საფარი, რომელთა დიდი ნაწილი ექვემდებარება მოხსნას. აღნიშნული გარემოება გულისხმობს მცენარეულ საფარზე გარდაუვალ კუმულაციურ ზემოქმედებას. ინფრასტრუქტურის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიებიდან უნდა მოიხსნას/გადაირგოს არსებული მცენარეულობა, რაც მათი საერთო რაოდენობისა და განაშენიანების ფართობის შემცირებას გამოიწვევს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მცენარეულ საფარზე ზემოქმედების საკომპენსაციოდ, საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს გეგმარებითი ერთეულის გამწვანებას სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეებით (სამშენებლო ტერიტორიების გამწვანება შესაბამისი კოეფიციენტით ასევე მოთხოვნილია საკანონმდებლო დონეზე).

გეგმარებითი ტერიტორიების განაშენიანობისას და მსგავსი ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ კუმულაციური ზემოქმედება შესაძლოა გამოხატულის იყოს ორნითოფაუნაზე უარყოფით ზემოქმედებასთან. წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე მოეწყობა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი, ხოლო ქალაქ ბათუმში მიმდინარე სამშენებლო ტენდენციების გათვალისწინებით ქალაქის ტერიტორიაზე არაერთი მრავალსართულიანი კომპლექსის მოწყობას შესაძლოა ჰქონდეს

ადგილი. მრავალსართულიანი კომპლექსები ფრინველებზე ზემოქმედების ერთერთ ფაქტორს წარმოადგენს.

საპროექტო კომპლექსის და სხვა გეგმარებითი ობიექტების მოწყობისას გამოყენებული იქნება შიდასაუბნო გზები და ქუჩები. სამშენებლო ტექნიკისა და სხვა დანიშნულების ავტოტრანსპორტის გადაადგილება კუმულაციურ ზემოქმედება იქონიებს სატრანსპორტო ნაკადებზე და შესაძლებელია გადაადგილების შეფერხება და დროებითი შეზღუდვაც კი გამოიწვიოს. კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი იქნება, როგორც მშენებლობის პერიოდში ასევე ობიექტების ფუნქციონირების ეტაპზე. ობიექტების ფუნქციონირებამ შესაძლოა არსებულ გზებსა და ქუჩებზე სატრანსპორტო ნაკადების შეფერხება გამოიწვიოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის პერიოდში შესაბამის უწყებებში შეთანხმდება საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები, ხოლო ობიექტების ფუნქციონირების ეტაპზე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება დარეგულირდება შესაბამისი საგზაო ნიშნებითა და მონიშვნებით.

საპროექტო გეგმარებით და სხვა მსგავსი ტიპის ობიექტებზე განაშენიანების მოწყობა გარდაუვალ ზემოქმედებას იქონიებს ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე. ინფრასტრუქტურის მოწყობა, განსაკუთრებით მაღალი შენობების, შეცვლის არსებულ ვიზუალურ გარემოს. გაჩნდება მუდმივი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხილული იქნება სხვადასხვა წერტილიდან. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელია არსებული ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემოს შეცვლა და ხანგრძლივი ზემოქმედება. ზემოქმედების მიმართ პოტენციური რეცეპტორები იქნებიან გეგმარებითი ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა და დამსვენებლები.

გარდა უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედებისა, გეგმარებითი ობიექტების განაშენიანებით მოსალოდნელია დადებითი კუმულაციური ზემოქმედებაც, რაც გულისმობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ობიექტების მოწყობის პერიოდში მოსალოდნელია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, რაც დადებით ზემოქმედებას იქონიებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობაზე. სამშენებლო სამუშაოების დასრულებისა და კომპლექსების ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ კომერციულ ობიექტებში ასევე მოსალოდნელია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, რასაც უფრო ხანგრძლივი სახე ექნება და მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება იქნება ხანგრძლივი პერიოდის.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება. კუმულაციური ზემოქმედება იქნება როგორც ხანმოკლე (მაქსიმალური პერიოდი 3 წელი), ასევე ხანგრძლივი-მაგალითად ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების კუთხით.

კუმულაციური ზემოქმედების ხარისხის მაქსიმალურად შემცირებისთვის აუცილებელია დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდეს გარემოსდაცვითი სტანდარტების, ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით.

7 სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციისა და თავიდან აცილების გზების განსაზღვრა

როგორც წინა პარაგრაფშია მოცემული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება გარკვეული ხარისხით იქონიებს ზემოქმედებას, როგორც გარემოს გარკვეულ კომპონენტებზე, ასევე სოციალურ გარემოზე. არსებული ფონური მონაცემების და სტრატეგიული დოკუმენტის სკრინინგის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. აღნიშნულის მიუხედავად, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ის რეკომენდაციები და ღონისძიებები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სტრატეგიული დოკუმენტის განმახორციელების მიერ.

ცხრილი 7.1. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციისა და თავიდან აცილების რეკომენდაციები/შემარბილებელი ღონისძიებები

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	მიზანი	რეკომენდაციები/შემარბილებელი ღონისძიებები	პასუხისმგებლობა
<ul style="list-style-type: none"> ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაურის გავრცელება 	<ul style="list-style-type: none"> ხმაურის დონისა და ატმოსფერული ჰაერის ფონური ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება; სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას, კომპლექსის მოწყობის სამუშაოებში დასაქმებული პერსონალის და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა 	<ul style="list-style-type: none"> სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონების „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინება; სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოსა და ანთროპოგენური ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით “გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №297/ნ ბრძანების ნორმების გათვალისწინება; სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ: <ul style="list-style-type: none"> სადემონტაჟო სამუშაოების და კომპლექსის მშენებლობისას სველი მეთოდის გამოყენება; ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირებისას სატრანსპორტო საშუალების ძარის გადახურვა შესაბამისი მასალით; ტექნიკა-დანადგარების გამართულობის რეგულარული კონტროლი; სამუშაო გრაფიკის მკაცრი დაცვა; წარმოქმნილი ნარჩენების დაწვის მკაცრი კონტროლი; სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება უახლოესი კარიერებიდან/ობიექტებიდან (აღნიშნული შემადგირებს მასალების 	<ul style="list-style-type: none"> საქმიანობის განმახორციელებელი

		<p>ტრანსპორტირებისას გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობას);</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მასალის ტრანსპორტირების პერიოდში საავტომობილო გზებზე პიკური დატვირთვების გათვალისწინება; ➤ მოსახლეობის უკმაყოფილების შემთხვევაში, ხმაურის პრევენციის მიზნით გეგმარებით ტერიტორიაზე შესაბამისი ხმაურდამცავი ბარიერების მოწყობა; ➤ ხმაურისა და მავნე ნივთიერებების გავრცელების შემცირების მიზნით, სამშენებლო სამუშაოებში თანამედროვე ტექნიკა-დანადგარების შეძლებისდაგვარი გამოყენება; ➤ პერსონალს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე. ➤ საჭიროების შემთხვევაში ინსტრუმენტალური გაზომვების ჩატარება; 	
<ul style="list-style-type: none"> • ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურება 	<ul style="list-style-type: none"> • ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკების მინიმუმამდე შემცირება 	<ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონების „წყლის შესახებ“ და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინება. ასევე, საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე , საქართველოს მთავრობის N425 დადგენილებისა და წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში, ჩამდინარე წყლების ჩაშვების და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს №431 მთავრობის დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინება; • სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ: 	<ul style="list-style-type: none"> • საქმიანობის განმახორციელებელი

		<ul style="list-style-type: none"> ➤ კატლავანის მოწყობა შესაბამისი პირობების დაცვით - მას შემდეგ რაც სიღრმე მიაღწევს გრუნტის წყლების დგომის სიღრმეს, სპეციალური ჭების მოწყობა და ამ ჭებიდან გრუნტის წყლების ამოტუმბვა და რეზერვუარებში გადატუმბვა. რეზერვუარებში დალექილი და გაწმენდილი წყლის ჩაშვება ქალაქის წყალარინების სიტემაში ქალაქ ბათუმის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე. ➤ სამშენებლო სამუშაოების წარმართვა გარემოსდაცვითი პირობების მკაცრი დაცვით და მდინარის სიახლოვეს მუშაობის მკაცრი კონტროლი; ➤ მასალების და ნარჩენების დასაწყობება მდინარე მეჯინისწყლიდან მაქსიმალურად შესაძლებელი დაშორებით; ➤ მშენებლობისათვის საჭირო მასალების სათანადო პირობებში განთავსება; ➤ გეგმარებით ობიექტზე ტექნიკის რემონტისა და ტექნომსახურების აკრძალვა; ➤ ტექნიკისა და დანადგარების გამართულობის რეგულარული კონტროლი; ➤ დაბინძურებული წყლების მართვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მკაცრი კონტროლი; ➤ სამუშაო უბნების აღჭურვა ავარიულ დაღვრებზე რეაგირების ინვენტარით; ➤ პერსონალს პერიოდული ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ➤ სატვირთოების (ბეტონშემრევეების) ადგილზე და მდინარის სიახლოვეს გარეცხვის ფაქტების მკაცრი კონტროლი, რომლებიც გამოყენებული იქნება ბეტონის სამუშაოებში; ➤ წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მკაცრი კონტროლი - ნარჩენების მართვის კოდექსის და 	
--	--	---	--

		<p>მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად; ;</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ სამუშაო ზონის საზღვრების მკაცრი დაცვა; ➢ დასაქმებულ პერსონალის პერიოდული ტრენინგები შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე; 	
<ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება და არამიზნობრივი გამოყენება 	<ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის და გრუნტის დაბინძურებისგან დაცვა; • ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არამიზნობრივი გამოყენების თავიდან აცილება 	<ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონების „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინება. ასევე “გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების (№297/ნ) და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების გათვალისწინება. • სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ: <ul style="list-style-type: none"> ➢ საძირკვლის მოწყობის პერიოდში მოხსნილი ნიადაგის და გრუნტის მართვა ქალაქ ბათუმის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე; ➢ უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირებისთვის ტექნიკის გადაადგილებისათვის საჭირო გზების და სამუშაო ზონების სწორი შეირჩევა და საზღვრების დაცვა; ➢ ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებების გატარება. დაბინძურებული 	<ul style="list-style-type: none"> • საქმიანობის განმახორციელებელი

		<p>ფენის დროული მოხსნა და რემედიაციისათვის შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიისთვის/პირისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ სამუშაო ზონები აღჭურვა დაღვრაზე რეაგირების სათანადო ინვენტარით/აღჭურვილობით (კონტეინერები, ტომრები, აბსორბენტები და სხვა); ➢ სამუშაო ზონაში მანქანების შეკეთების/ტექნიკური მომსახურების და/ან საწვავით გამართვის აკრძალვა. აღნიშნული პროცედურების განხორციელება საპროექტო ტერიტორიის გარეთ არსებულ კომერციულ პუნქტებში; ➢ ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად; ➢ სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობის კონტროლი; 	
<ul style="list-style-type: none"> • ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება 	<ul style="list-style-type: none"> • მცენარეულის საფარის მაქსიმალური შენარჩუნება და დაცვა; • ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების მაქსიმალური შემცირება 	<ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონების „წითელი წუსხისა“ და „წითელი წიგნის“, „ცხოველთა სამყაროს“ და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინება. • სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ: <ul style="list-style-type: none"> ➢ საპროექტო საზღვრების მკაცრი დაცვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საჯარო სივრცეში არსებული ხე-მცენარეების დაზიანება; ➢ საპროექტო შენობების მოპირკეთებისას ისეთი მასალების შერჩევა, რომელსაც არ ექნება გამჭვირვალე და სარკის ეფექტი; 	<ul style="list-style-type: none"> • საქმიანობის განმახორციელებელი

		<ul style="list-style-type: none"> ➤ შენობაზე დასამონტაჟებელ შუშების გარედან აღჭურვა ვერტიკალური ზოლებით. ზოლებს შორის მინიმალური მანძილი უნდა იყოს 1სმ, ხოლო მაქსიმალური 10 სმ. ასევე რეკომენდებულია გარე ფასადებზე არსებულ შუშებზე გაკეთდეს ერთგვარი სტიკერები (ან მსგავსი მასალა, რომელიც შუშებზე დამონტაჟდება. მასალა უნდა იყოს დაახლოებით შეფერილობა უნდა განსხვავდებოდეს ფსადის დიზაინის და შეფერილობისგან), რაც ფრინველებს საშუალებას მისცემს თავი აარიდონ შენობასთან შესაძლო შეჯახებას; ➤ რეკომენდებულია შენობების განათებისთვის გამოყენებული იქნეს არა კაშკაშა, არამედ უფრო ნეიტრალური ნათება; ➤ სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად; ➤ სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის გადაადგილების კონტროლი დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის ფაქტების შესამცირებლად; ➤ სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალის პერიოდული ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე; 	
<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების არასათანადო მართვა 	<ul style="list-style-type: none"> • წარმოქმნილი ნარჩენების გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შემცირება; • ნარჩენების სათანადო მართვის უზრუნველყოფა 	<ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონების „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინება. ასევე ნარჩენების მართვის კოდექსიდან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნების გათვალისწინება. 	<ul style="list-style-type: none"> •

		<ul style="list-style-type: none"> • სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ: <ul style="list-style-type: none"> ➢ სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტების თავიდან აცილება, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციას; ➢ ნარჩენებისათვის განკუთვნილი კონტეინერების მდინარიდან მაქსიმალურად შესაძლებელ მანძილში განთავსება; ➢ შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელი წინასწარ ფორმირებული პროდუქციის/მასალების შექმნა, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას; ➢ მასალების შემოტანის და განთავსებაზე მკაცრი მონიტორინგის წარმოება, ასევე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხების კონტროლი, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს; ➢ სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების დემონტაჟი შესაბამისი პირობების დაცვით. წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად. ➢ წარმოქმნილი ნარჩენების შემდგომი მართვისთვის გადაცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირზე/კომპანიაზე. ქალაქ ბათუმში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება/გატანაზე პასუხისმგებელია შპს „სანდასუფთავება“. კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებელია გადაეცეს აღნიშნულ კომპანიას, ან სურვილის შემთხვევაში 	
--	--	---	--

		<p>ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან.</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად; ➢ დასაქმებულ პერსონალის ინფორმირება ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით. 	
<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე ზემოქმედება 	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირება 	<ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ მოთხოვნების გათვალისწინება • პროექტების და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპებზე გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ: <ul style="list-style-type: none"> ➢ დეტალური პროექტებისას შენობა-ნაგებობების არქიტექტურული ნაწილის მორგება არსებულ გარემოს. ასევე ფრინველებზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებში გაწერილი საკითხების გათვალისწინება ; ➢ პროექტის განხორციელებისას შენობის მშენებლობის პროცესები კონტროლი და მისი შესაბამისობა არქიტექტურულ ნაწილთან; ➢ ტერიტორიის გამწვანება შესაბამისი დენდროლოგიური პროექტის მიხედვით. 	<ul style="list-style-type: none"> •
<ul style="list-style-type: none"> • ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები 	<ul style="list-style-type: none"> • ობიექტზე დასაქმებული პერსონალის და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა 	<ul style="list-style-type: none"> • სამშენებლო სამუშაოების განხორციელება შემდეგი მოთხოვნების დაცვით: <ul style="list-style-type: none"> ➢ მომუშავე პერსონალის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური 	

		<p>რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების მკაცრი დაცვა;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას საქართველოს სოციალური კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა; ➤ სამშენებლო მასალების, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას, ქარხანა-დამამზადებლისა და მომწოდებელი ორგანიზაციის ინსტრუქციით გათვალისწინებული ექსპლუატაციის და გამოყენების პირობების მკაცრი დაცვა; ➤ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-ს მიერ ჩამოყალიბებული პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემის ISO და მისი შემდგომი მოდიფიკაციების შეძლებისდაგვარად დაცვა; ➤ გამოყენების წინ ინსტრუმენტების რეგულარულად დათვალიერება. ინსტრუმენტის ხმარებისას დამცავი საშუალებები (სათვალეები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვ.) გამოყენება. ელექტროინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს. ➤ სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პერსონალის უზრუნველყოფა შესაბამისი სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით. ➤ დასაქმებული პერსონალის მიერ შინაგანაწესით განსაზღვრული შრომის დაცვის მოთხოვნების დაცვის კონტროლი. ➤ უცხო და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა დაშვების კონტროლი სამშენებლო ტერიტორიაზე; ➤ ამინდის მკვეთრი გაუარესების დროს (ქარიშხალი, შტორმი, უხვი ნალექი და სხვ.) სამშენებლო პროცესების შეჩერება. 	
--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> ➤ ტვირთების და მასალის გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან ჩამოყრის ფაქტების მკაცრი კონტროლი; ➤ მშენებლობის პერიოდში საქართველოში მოქმედი, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სტანდარტების და ნორმატიული აქტების გათვალისწინება. 	
--	--	--	--

8 დანართები

8.1 დანართი 1. ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ

ქალაქ ბათუმში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელია ქალაქ ბათუმის მერია და მის დაქვემდებარებაში არსებული კომპანია შპს „სანდასუფთავება“. კომპანია უზრუნველყოფს ქ. ბათუმში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებას. შპს „სანდასუფთავება“ ასევე ახორციელებს ქუჩების, გზების, სანაპირო ზოლის, ეზოებისა და სკვერების დაგვადასუფთავებას. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება მიეწოდება როგორც ქ. ბათუმის მოსახლეობას, ასევე კომერციულ სექტორს.

გეგმარებითი ერთეულის მიმდებარედ არსებულ საცხოვრებლებს და ინფრასტრუქტურას ემსახურება შპს „სანდასუფთავება“. ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია ურნები მუნიციპალური ნარჩენებისთვის, სადაც მხოლოდ მუნიციპალური ნარჩენების და მსგავსი კატეგორიის ნარჩენების განთავსება დაშვებულია.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში დასრულდა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა, სადაც უახლოეს მომავალში, როგორც ქალაქ ბათუმში, ასევე აჭარის დანარჩენ ხუთ მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენები განთავსდება. მანამდე კი, ქალაქ ბათუმში წარმოქმნილი ნარჩენები კვლავ არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე განთავსდება, რომელიც მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარეობს.

დაგეგმილი სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია სამშენებლო და ნგრევის, საყოფაცხოვრებო, სხვადასხვა კატეგორიის შესაფუთი მასალების და შესაძლოა მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა.

ცხრილი 8.1. ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ⁸.

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათობის მახასიათებელი	ნარჩენების სავარაუდო რაოდენობა
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ხე-ტყის დამუშავებისას, ქაღალდის, მუყაოს, სამერქნე მასალის, პანელისა და აგეჯის წარმოებისას - ჯგუფის კოდი 03					
03 01 ნარჩენები ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან და პანელისა და აგეჯის წარმოებიდან					
03 01 05	ნახერხი, ბურბუშელა, ნათალი, ხე-ტყის მასალა, ფანერები და შპონები, რომლებიც არ არის ნახსენები 03 01 04	არა	მყარი	-	6 ტონა

⁸ შედგენილია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №426 დადგენილების მიხედვით

ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას - ჯგუფის კოდი 12					
12 01 ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას					
12 01 13	შედულებისას წარმოქმნილი ნარჩენი	არა	მყარი	-	3 ტონა
12 01 20*	გამოყენებული სახეხი ნაწილები და სახეხი მასალები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (აბრაზიული ქვები)	არა	მყარი	-	600 კგ
შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტრებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში - ჯგუფის კოდი 15					
15 01 შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)					
15 01 01	ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-	3 ტონა
15 01 06	ნარევი შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-	5 ტონა
15 02 აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები					
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	დიახ	მყარი	H 5 - მავნე H14- ეკოტოქსიკური	3 ტონა
სამშენებლო და წარმოების ნარჩენები (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან) - ჯგუფის კოდი 17					
17 01 ცემენტი, აგურები, ფილები და კერამიკა					
17 01 01	ცემენტი	არა	მყარი	-	120 ტონა
17 01 02	აგურები	არა	მყარი	-	60 ტონა
17 01 03	ფილები და კერამიკული ნაწარმი	არა	მყარი	-	25 ტონა
17 02 ხე, მინა და პლასტმასი					
17 02 01	ხე	არა	მყარი	-	7 ტონა
17 02 02	მინა	არა	მყარი	-	2 ტონა
17 02 03	პლასტმასი	არა	მყარი	-	4 ტონა
17 04 მეტალები (მოიცავს მათ შუნადნობებსაც)					
17 04 07	შერეული ლითონები	არა	მყარი	-	15 ტონა
17 05 ნიადაგი (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან), ქვები და გრუნტი					
17 05 03*	ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	დიახ	მყარი	H 15	3 ტონა

17 05 04	ნიადაგი და ქვები, რომლებიც არ გვხვდება 17 05 03 პუნქტში	არა	მყარი	-	7 ტონა
17 06 საიზოლაციო მასალები და აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალები					
17 06 04	საიზოლაციო მასალები, რომლებსაც არ ვხვდებით 17 06 01 და 17 06 03	არა	მყარი	-	800 კგ
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის ან ცხოველის სამედიცინო მომსახურებით ან/და მასთან დაკავშირებული კვლევების შედეგად (გარდა საკვები ობიექტების ნარჩენებისა, რომლებიც არ არის წარმოქმნილი რაიმე უშუალო სამედიცინო აქტივობის შედეგად) - ჯგუფის კოდი 18					
18 01 ნარჩენები მშობიარობის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ადამიანებში					
18 01 04	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება არ ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (მაგ., შესახვევი მასალა, თაბაშირი, თეთრეული, ერთჯერადი ტანსაცმელი, საფენები)	არა	მყარი	-	200 კგ
18 01 09	მედიკამენტები, გარდა 18 01 08 პუნქტით გათვალისწინებული	არა	მყარი	-	6 კგ
მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას - ჯგუფის კოდი 20					
20 01 განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01)					
20 01 39	პლასტმასი	არა	მყარი	-	2 ტონა
20 01 40	ლითონები	არა	მყარი	-	1 ტონა
20 03 სხვა მუნიციპალური ნარჩენები					
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	მყარი	-	15 ტონა

წარმოქმნილი ნარჩენების არასათანადო მართვის პირობებში იზრდება გარემოს დაბინძურების რისკები, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ნიადაგისა და გრუნტზე, მიწისქვეშა წყლებზე და ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებასთან. დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებისას წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

წარმოქმნილი ნარჩენები განთავსდება მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერებში. მუნიციპალური, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები საპროექტო ტერიტორიაზე დიდი

ხნის განმავლობაში არ დაყოვნდება - მათი გატანა კონტეინერების შევსებისთანავე განხორციელდება.

რეციკლირებადი და სახიფათო ნარჩენები ასევე შეგროვდება განცალკევებულად. მსგავსი კატეგორიის ნარჩენებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სპეციალური ნარჩენების დროებითი დასაწყობების სივრცე, რომელიც დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისგან და გაფანტვისაგან. შეგროვებული ნარჩენები პერიოდულად გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ბათუმში შპს „სანდასუფთავება“ ახორციელებს რეციკლირებადი ნარჩენების (პლასტიკი, ქალაქი და მუყაო) შეგროვებას და დახარისხებას. ობიექტის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი რეციკლირებადი ნარჩენების ნაწილი შესაძლოა გადაეცეს აღნიშნულ კომპანიას, ან ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა პირთან/ კომპანიასთან.

ნარჩენების მართვის კოდექსის 21-ე მუხლის 51 პუნქტის შესაბამისად, ინერტული ნარჩენები, რომლებიც გამოსადეგია ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, შესაძლებელია არ განთავსდეს ნაგავსაყრელზე, თუ ისინი, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოსთან შეთანხმებით, ამოვსებითი ოპერაციებისთვის ან პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები (ამ შემთხვევაში გრუნტი) შესაძლოა არ განთავსდეს ბათუმის ნაგავსაყრელზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე გამოყენებული იყოს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, მაგალითად სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში-ქვაბულების ამოსავსებად.

ეკოლოგი:  ლევან ზაზაძე

8.2 დანართი 2. წერილი სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებით



JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო



მოქალაქე მურად შავლიძეს

ელ. ფოსტა: iraki8610@gmail.com

ბატონო მურად,

თქვენ 2023 წლის 27 მარტის N9038477 წერილის პასუხად, ქალაქ ბათუმში მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:05.32.17.400; 05.32.17.401; 05.32.17.402) მრავალსართულიანი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით გაცნობებით, რომ ტერიტორიას კვეთს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილი 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა საპაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ადილა-1“, აგრეთვე ქვესადგურ „ბათუმი-4“-დან გამოშვებული 10 კვ ძაბვის საპაერო ელექტროგადამცემი ხაზი ფიდერი „N410“.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილების „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით, 110 კვ ძაბვის საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონად ხაზის ორივე მხარეს განაპირა სადგენებიდან დადგენილია 20 მეტრი, ხოლო 10 კვ ძაბვის საპაერო ხაზისთვის 10 მეტრი. მე-4 მუხლის პირველი ნაწილით აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა, კერძოდ: ა) ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში შენობა-ნაგებობის, ხიდების, კოლექტორების, გვირაბების, საავტომობილო გზებისა და რკინიგზის რეკონსტრუქცია, ან/და მშენებლობა ელექტროგადამცემი ხაზის დამცავი ღონისძიებების გატარების ან მისი წინასწარი გადატანის გარეშე. ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა ხორციელდება დანტერესებული პირის ხარჯით, ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად; ბ) ელექტროგადამცემი ხაზის ქვეშ მანქანა-მექანიზმების გაწვლა, რომელთა საერთო სიმაღლე გზის საფარიდან ტვირთით და/ან ტვირთის გარეშე აღემატება 4.5 მეტრს; ე) ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობებთან მისასვლელი გზების ლიკვიდირება ან ჩახურგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის); ი) საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში ჭავჭავაძის სარწყავი სისტემის მოწყობა, ასევე სარწყავების მოწყობა გამუხეების გზით; მე-4 მუხლის მეორე ნაწილით კი ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონაში ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელის წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია: ა) ნებისმიერი სახის სამშენებლო, სამონტაჟო, სარეკონსტრუქციო და ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოება; გ) მცენარეების, ხეების დარგვა, ღობეების, ცხოველების სადგომების, საკვებისა და სასუქების საწოების მოწყობა და სხვ.; დ) ავტოტრანსპორტის და სხვა მანქანა-მექანიზმების სადგომების და გადასასვლელი გზების მოწყობა, საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის ქვეშ არაგაზარტული ტვირთების გატარება;

ელექტროდანიდგართა მოწყობის წესების მე-6 გამოცემის 2.5.22 ცხრილით, ელექტროგადამცემი ხაზის სადგენებსა და მიწის ზედაპირს შორის მინიმალური ვერტიკალური დაშორება დასახლებულ

TEL: 2-47-17-07 | Email: Info@Energo-pro.ge | Internet: www.energo-pro.ge | სარ. კოდი: 205169066

პუნქტებში შეადგენს არანაკლებ 7 მეტრს. ამიტომ, თვითნებურად, კომპანიის თანხმობის გარეშე, დაუშვებელია სადენებსა და მიწის ზედაპირს შორის ვერტიკალური გაბარიტის შემცირება მიწაყრილით, მოხრეშვით, მობეტონებით და ა.შ.

აქედან გამომდინარე, კომპანია არ არის წინააღმდეგი მიწის ნაკვეთებზე განახორციელოთ მრავალსართულიანი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, 110 კვ ძაბვის საპარო ელექტროგადამცემი ხაზის სადენებიდან თქვენს მიერ წარმოდგენილ გენგეგმამი მითითებული მანძილების დაცვით და ამასთან, 10 კვ ძაბვის საპარო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონის გარეთ და ზემოაღნიშნული სხვა მოთხოვნების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ სამუშაოების წარმოებისას გთხოვთ წინასწარ დაუკავშირდეთ კომპანიის მაღალი ძაბვის ქვეგანყოფილების უფროსს, ბატონ ასლან ბოლქვაძეს (ტელ: 577 35 90 73) და ბათუმის მომსახურების ცენტრის მთავარ ინჟინერს, ბატონ გოჩა დიასამიძეს (ტელ: 577 35 93 01).

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე



შემსრ: გიორგი ნიკურაძე
(ტელ: 577 35 33 04)

განმარტებითი ბარათი
მყარი ნარჩენების რეგულირებაზე

საქართველოს გარემოს დაცვის რეგულირებით დადგენილია საშუალოდ 1.70 კგ. მყარი ნარჩენის მოგროვება ერთ სულ მოსახლეზე დღე ღამის განმავლობაში.

ჩვენს მიერ შემუშავებულია ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც გათვლილია დაახლოებით 3325 მაცხოვრებელზე, კომერციული ობიექტის ჩათვლით.

$3325 \times 1.7 = 5652.5$ კგ. მყარი ნარჩენი. მყარი ნარჩენების შესაგროვებელი ურნა მოცულობითი ტევადობით არის 200 კგ. რაც დაახლოებით მოთხოვნის მიხედვით შეადგენს 28 ურნას.

თუ დღე ღამის განმავლობაში მოხდება ორჯერ გატანა ტერიტორიიდან, მაშინ 14 ცალი მყარი ნარჩენების შესაგროვებელი ურნა არის საკმარისი. მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებელია მყარი ნარჩენების შესაგროვებელი ურნების რაოდენობის გაზრდაც, რადგან მათთვის გამყოფი ტერიტორია იძლევა ამის საშუალებას.

ფიზიკური გეოგრაფიის, ნიადაგური რესურსებისა და გარემოს მდგრადი განვითარების მაგისტრი:



ირაკლი ქათამაძე



საქართველო

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრის დიპლომი

BSU № 000033

განათლებისა და მეცნიერებათა

ფაკულტეტის 2012 წლის 27 ივლისის № 11

გადაწყვეტილებით ირაკლი ქათამაძეს

მიენიჭა ფიზიკური გეოგრაფიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

ფიზიკური გეოგრაფიის, ნიადაგური რესურსებისა და
კარგმოს მდგრადი განვითარების სპეციალობით.

დეკანი
Dean

მარინა ქორიძე
Marina Koridze

რექტორი
Rector

ალიოშა ბაკურიძე
Aliosha Bakuridze

ბათუმი
BATUMI

16
რიცხვი/day

10
თვე/month

2012
წელი/year



GEORGIA

BATUMI SHOTA RUSTAVELI
STATE UNIVERSITY

MASTER'S DIPLOMA

BSU № 000033

By Decision №

11 / 27.07.2012

of the Faculty of

Education and Sciences

Irakli Katamadze

was awarded the Degree of Master of

Physical Geography

in Physical Geography, Soil Resources and
Sustainable Environmental Development



სარეგისტრაციო
REGISTRATION

№ 1201329



ხე-მცენარეების აღრიცხვის უწყისი

4 ივნისი 2023 წელი

დასკვნა

მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობა

და მათი ხარისხობრივი შეფასება

4 ივნისი მისამართი: ქალაქი ბათუმი, ქუჩა გრიგოლ ლორთქიფანიძე , N 5 N 3ა N3
საკადასტრო კოდები: N-05.32.17.402 მესაკუთრე; მერი შავლიძე პ/ნ 61006058100. მიწის
დაზუსტებული ფართობი 2971.00 კვ.მ

ს/კ N-05.32.17.400-მესაკუთრეები: მურად შავლიძე პ/ნ 61006000870 და ომარ შავლიძე პ/ნ
61006062101 მიწის დაზუსტებული ფართობი 1476.00 კვ.

ს/კN-05.32.17.401 მესაკუთრეები:მურად შავლიძე პ/ნ 61006000870 და ომარ შავლიძე პ/ნ
61006062101 მიწის დაზუსტებული ფართობი 4000.00 კვ.მ

პროექტის შემსრულებელია შპს“ Maurer” ID ნომერი: 445486117.

მეტყვევ-სპეციალისტის იმედა შანიძის მიერ (მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების
დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი ექსპერტი) შემოწმდა მწვანე ნარგავების სახეობრივი
მდგომარეობა და გაკეთდა მათი ხარისხობრივი შეფასება.

ვიზუალურად დათვალიერებული და სატყეო ტაქსაციაში არსებული მეთოდების
გამოყენებით აღწერილი და შეფასებული იქნა საკუთრებებში არსებული სასოფლო-
სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ფიქსირებული მერქნიანი ხე-მცენარეები.

ტერიტორიაზე განლაგებულია 248 ძირი ხე-მცენარე, 8სმ ნაკლები 64 ძირი აღმონაცენი, 10
ძირი ვაზი 5 ძირი პალმა 11 ოჯახი თხილი და 115 ძირი ციტრუსი

დამკვეთს სურვილი აქვს მოჭრას მიწის ნაკვეთზე არსებული 234 ხე-მცენარე და დატოვოს 9
ძირი ხე-მცენარე და სურვილი აქვს გადარგოს 5 ძირი პალმა მიმდებარე ტერიტორიაზე.

ცხრილში მოცემულია ქალაქი ბათუმი, ქუჩა გრიგოლ ლორთქიფანიძე N 5 ს/კ N-
05.32.17.402. N 3ა ს/კ N-05.32.17.400 N3 ს/კN-05.32.17.401 ტერიტორიაზე მოცემული
მცენარეების სახეობები. ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ
სიმაღლეზე.

ცხრილი N 1

ხის N	მერქნიანი სახეობა	დiameterი მიწის პირიდან 10 სმ-ზე	ხის მდგომარეობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ფინიკის პალმა (Phoenix Sylvestris)	18.1	სალი	დატოვოს
2	ლევვი (Ficus carica)	9.6	სალი	მოსაჭრელი
3	ხურმა (<i>Diospyros kaki</i>)	35.1	სალი	მოსაჭრელი
4	მანჯურიის კაკალი (Juglas manshurica)	41.5	სალი	მოსაჭრელი
5	მანდარინი (citrus reticulata)	16.8	დაზიანებული	მოსაჭრელი
6	მუშმულა (Eriobotrya japonica)	20.2	სალი	მოსაჭრელი
7	მანდარინი (citrus reticulata)	18.3	დაზიანებული	მოსაჭრელი
8	მანჯურიის კაკალი (Juglas manshurica)	12.6	სალი	მოსაჭრელი
9	მანდარინი (citrus reticulata)	16.8	დაზიანებული	მოსაჭრელი
10	მანჯურიის კაკალი (Juglas manshurica)	22.5	დაზიანებული	მოსაჭრელი
11	მანჯურიის კაკალი (Juglas manshurica)	8.4	სალი	მოსაჭრელი
12	მანდარინი (citrus reticulata)	17.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
13	მანდარინი (citrus reticulata)	17.3	დაზიანებული	მოსაჭრელი
14	მანდარინი (citrus reticulata)	21.3	დაზიანებული	მოსაჭრელი
15	მანდარინი (citrus reticulata)	18.0	დაზიანებული	მოსაჭრელი
16	მანდარინი (citrus reticulata)	23.3	დაზიანებული	მოსაჭრელი

17	მანდარინი (citrus reticulata)	13.6	დაზიანებული	მოსაჭრელი
18	მანდარინი (citrus reticulata)	16.9	დაზიანებული	მოსაჭრელი
19	მანდარინი (citrus reticulata)	19.5	დაზიანებული	მოსაჭრელი
20	მანდარინი (citrus reticulata)	18.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
21	მანდარინი (citrus reticulata)	19.1	დაზიანებული	მოსაჭრელი
22	მანდარინი (citrus reticulata)	21.7	დაზიანებული	მოსაჭრელი
23	მანდარინი (citrus reticulata)	18.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
24	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	17.1	სალი	მოსაჭრელი
25	მანდარინი (citrus reticulata)	19.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
26	ლელვი (Ficus carica)	8.7	სალი	მოსაჭრელი
27	მანდარინი (citrus reticulata)	16.6	დაზიანებული	მოსაჭრელი
28	მანდარინი (citrus reticulata)	17.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
29	მანდარინი (citrus reticulata)	13.1	დაზიანებული	მოსაჭრელი
30	მანდარინი (citrus reticulata)	20.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
31	მანდარინი (citrus reticulata)	21.6	დაზიანებული	მოსაჭრელი
32	მანდარინი (citrus reticulata)	18.1	დაზიანებული	მოსაჭრელი
33	მანდარინი (citrus reticulata)	18.3	დაზიანებული	მოსაჭრელი
34	მანდარინი (citrus reticulata)	18.3	დაზიანებული	მოსაჭრელი
35	მანდარინი (citrus reticulata)	190	დაზიანებული	მოსაჭრელი
36	მანდარინი (citrus reticulata)	23.2	დაზიანებული	მოსაჭრელი

37	მანდარინი (citrus reticulata)	21.4	დაზიანებული	მოსაჭრელი
38	მანდარინი (citrus reticulata)	18.1	დაზიანებული	მოსაჭრელი
39	მანდარინი (citrus reticulata)	18.4	დაზიანებული	მოსაჭრელი
40	მანდარინი (citrus reticulata)	17.1	დაზიანებული	მოსაჭრელი
41	მანდარინი (citrus reticulata)	12.1	დაზიანებული	მოსაჭრელი
42	მანდარინი (citrus reticulata)	17.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
43	მანდარინი (citrus reticulata)	17.4	დაზიანებული	მოსაჭრელი
44	მანდარინი (citrus reticulata)	18.7	დაზიანებული	მოსაჭრელი
45	მანდარინი (citrus reticulata)	22.6	დაზიანებული	მოსაჭრელი
46	მანდარინი (citrus reticulata)	17.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
47	მანდარინი (citrus reticulata)	14.8	დაზიანებული	მოსაჭრელი
48	მანდარინი (citrus reticulata)	21.8	დაზიანებული	მოსაჭრელი
49	მანდარინი (citrus reticulata)	21.4	დაზიანებული	მოსაჭრელი
50	მუშმულა (Eriobotrya japonica)	23.4	სალი	მოსაჭრელი
51	მანდარინი (citrus reticulata)	15.6	დაზიანებული	მოსაჭრელი
52	მანდარინი (citrus reticulata)	17.8	დაზიანებული	მოსაჭრელი
53	ლიმონი (citrus limon)	17.7	დაზიანებული	მოსაჭრელი
54	მანდარინი (citrus reticulata)	20.4	დაზიანებული	მოსაჭრელი
55	მანდარინი (citrus reticulata)	18.0	დაზიანებული	მოსაჭრელი
56	მანდარინი (citrus reticulata)	18.1	დაზიანებული	მოსაჭრელი

57	მანდარინი (citrus reticulata)	14.9	დაზიანებული	მოსაჭრელი
58	მანდარინი (citrus reticulata)	19.5	დაზიანებული	მოსაჭრელი
59	მანდარინი (citrus reticulata)	16.6	დაზიანებული	მოსაჭრელი
60	მანდარინი (citrus reticulata)	17.0	დაზიანებული	მოსაჭრელი
61	მანდარინი (citrus reticulata)	13.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
62	მანდარინი (citrus reticulata)	19.0	დაზიანებული	მოსაჭრელი
63	მანდარინი (citrus reticulata)	15.1	დაზიანებული	მოსაჭრელი
64	მანდარინი (citrus reticulata)	19.2	დაზიანებული	ოსაჭრელი
65	მანდარინი (citrus reticulata)	15.7	დაზიანებული	მოსაჭრელი
66	მანდარინი (citrus reticulata)	16.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
67	მანდარინი (citrus reticulata)	13.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
68	მანდარინი (citrus reticulata)	19.0	დაზიანებული	მოსაჭრელი
69	მანდარინი (citrus reticulata)	20.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
70	ლეღვი (Ficus carica)	27.6	დაზიანებული	მოსაჭრელი
71	მანდარინი (citrus reticulata)	16.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
72	მანდარინი (citrus reticulata)	17.7	დაზიანებული	მოსაჭრელი
73	მანდარინი (citrus reticulata)	17.9	დაზიანებული	მოსაჭრელი
74	მანდარინი (citrus reticulata)	17.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
75	მანდარინი (citrus reticulata)	16.8	დაზიანებული	მოსაჭრელი
76	მანდარინი (citrus reticulata)	16.9	დაზიანებული	მოსაჭრელი

77	მანდარინი (citrus reticulata)	17.9	დაზიანებული	მოსაჭრელი
78	მანდარინი (citrus reticulata)	18.8	დაზიანებული	მოსაჭრელი
79	მანდარინი (citrus reticulata)	19.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
80	მანდარინი (citrus reticulata)	14.8	დაზიანებული	მოსაჭრელი
81	შინდი (Consus mas)	13.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
82	ფეიხოა (Acca sellowiana)	13.3	დაზიანებული	მოსაჭრელი
83	ფეიხოა (Acca sellowiana)	14.7	დაზიანებული	მოსაჭრელი
84	ვაშლი (Malus ssp)	37.9	სალი	მოსაჭრელი
85	მანდარინი (citrus reticulata)	17.0	დაზიანებული	მოსაჭრელი
86	ლიმონი (citrus limon	13.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
87	მანდარინი (citrus reticulata)	14.2	დაზიანებული	მოსაჭრელი
88	მანდარინი (citrus reticulata)	17.6	დაზიანებული	მოსაჭრელი
89	ლიმონი (citrus limon	13.1	დაზიანებული	მოსაჭრელი
90	მანდარინი (citrus reticulata)	18.0	დაზიანებული	მოსაჭრელი
91	მანდარინი (citrus reticulata)	22.7	დაზიანებული	მოსაჭრელი
92	ლევჯი (Ficus carica)	23.5	დაზიანებული	მოსაჭრელი
93	ლიმონი (citrus limon	18.0	დაზიანებული	მოსაჭრელი
94	ფეიხოა (Acca sellowiana)	19.7	სალი	მოსაჭრელი
95	ლევჯი (Ficus carica)	22.4	დაზიანებული	მოსაჭრელი
96	ფინიკის პალმა (Phoenix Sylvestris)	13.7	სალი	ექვემდებარება გადარგვას

97	მუშმულა (Eriobotrya japonica)	13.4	სალი	ექვემდებარება გადარგვას
